

# ს ს ი ვ ი

№ 15

ყოველკვირეული ჟურნალი.

№ 15

ყოველკვირეული საზოგადოებრივი, სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი

„ს ს ი ვ ი“

გაზეთის ფასი—ერთი წლით—5 მან. ნახევარი წლით—3 მ. ერთი თვით—ათი შაური. ცალკე ნომერი ორი შაური. ხელის მოწერა შეიძლება ავტომატურად რამდენიმე ნომერზე, ორ-ორი შაურის ანვარიშით, არა ნაკლებ ხუთისა.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Типографія „Печатное Дѣло“, Александру Сардіоновичу Ландіа, (Вельяминовская, 6). რედაქტორ-გამომცემელი ე. ცურაძულიძე.

**შინაარსი:**მეთაური.—სპარსეთის ვითარება, ს. კლდის-ძირელისა. — რუსეთის ცხოვრება. — სახელმწიფო დუმა. — საზღვარ-გარეთი. — კორესპონდენციები. — ყვავილები, ლექსი ბ. გელასი. — უზუშევაძე, ესკიზი ს. პართენაშვილისა. — ეკონომიური ცხოვრების განვითარება, შვარცისა. — ფიქრები, ლექსი გ. ქუჩიშვილისა. — სოციალიზმი და ანარქიზმი, რეიხერგისა. — თეატრი და ხელოვნება. — განცხადებანი.

## თფილისი, 13 ივნისი.

რუსეთის პოლიტიკური ვითარების მეთვალყურე უკანასკნელ ხანებში მეტათ ორიგინალურ მოვლენაზე აჩერებს თავის ყურადღებას.

არსებობს სახელმწიფო დუმა, არსებობს გაერთიანებული, „კონსტიტუციონური“ მთავრობა; დუმაში მეთაურობს „კონსტიტუციონური“ პარტია, ოქტომბრისტები, რომელთა ლიდერი მთავრობასაც კი ემუქრება, ჯერ გიკდით და შემდეგ ანგარიშსაც მოგზაზვთა; არის ოპოზიციის მარცხნიდან, იყო ოპოზიციის მარჯვნიდან.

ერთი სიტყვით, პირველი შეხედვით ყველაფერი რიგზეა. მთავრობა მართავს საქმეებს, საკანონმდებლო დაწესებულებაც კანონებს იღებს და ამტკიცებს. და მიუხედავად ამისა, პოლიტიკური ცხოვრება მაინც ერთ გაყინულ წერტილზეა შეჩერებული.

თუ არის რაიმე მოძრაობა ამ მხრით, ისევ უკან, ძველისაკენ.

წინ ნაბიჯის გადადგმაზე ლაპარაკიც შეუძლებელია. 17 ოქტომბრის დაპირებათა განხორციელებისათვის ხელი არავის მოუყიდნია. ფაქტიურათ არც ერთი ამ აქტში აღნიშნული სამოქალაქო უფლება არ არსებობს, ყველა ისინი უარყოფილია. არ არის არც სიტყვის, არც კრების თავისუფლება; არ არის პიროვნების ხელუხლებლობა; ძველი კანონების მოქმედება შეჩერებულია, ახალზე და სასურველზე ლაპარაკი აკრძალულია. მდგომარეობა აუტანელია.

ასეთ მდგომარეობაში მყოფი უკვრდებით, თუ ვის შეუძლია შექმნილი მდგომარეობის შეცვლა, რა არის საჭირო, რომ ამ გაყინული წერტილიდან დაიძრას რუსეთის ცხოვრება? ფიქრობ ამაზე და ისევ ძველ რეცეპტზე

აჩერებ თვალს. მხოლოდ იქ, ხალხის თვითმოქმედებაში, ხალხის გამოღვიძებაშია ხსნა და მიუხედავად იმისა, რომ იგი წელ-მოწყვეტილია რეაქციის მიმე უღლით, მაინც მხოლოდ იმაზე შეიძლება იმედის დამყარება.

ასე ფიქრობთ ჩვენ. სულ სხვა იმედით შეყურებდა ცხოვრებას „ლიბერალური“ ბურჟუაზია. ის თავის იმედებს სახალხო მოძრაობის ლიკვიდატორ მთავრობაზე ამყარებდა, „განახლებული წყობილების“ იმედი ქონდა. ასე ფიქრობდნ ოქტომბრისტები, რამდენათაც მათთვის საჭიროა უფლებრივი სახელმწიფო, ასე ფიქრობდნ დღემდე იმავე „ლიბერალური“ ბურჟუაზიის მეორე ფრთის წარმომადგენელი კადეტებიც. ამათი ტაქტიკა იმაში გამოიხატება, რომ ვაჭრობით, მორიგებით, დათობით და ავანსუბით „ქირიანი ცხვისათვის ერთი მუქა მატყლი მაინც შეეგლიჯათ“. მაგრამ „ცხვარი“ მათზე ჭკვიანი გამოდგა.

მას სრულიად არა აქვს სურვილი თუნდ „ერთი მუქა მატყლის“ დათობისა და პირ-იქით, თითონ ცდილობს და ახერხებს მატყლიც შეაკრიჭოს და ტყავიც გაიყოლოს საზოგადოებისაგან. ამ მხრით „განახლებული წყობილების“ კურსი საკმაოდ გამოირკვა. ყველასათვის აშკარა შეიქნა, რომ დღევანდელი მმართველი და ხელმძღვანელი კლასებისაგან კარგი არაფერია მოსალოდნელი.

იყო დრო, როდესაც თვით სტოლიპინი ექვს ქვეშ ყავდათ მემარჯვენეებს, რადგან კონსტიტუციონურ მიდრეკილებებს ამჩნევდნ. იმ დროს სტოლიპინს რუსეთის ბისმარკათ ნათლავდნ. მაგრამ დღეს ამაებზე აღარავინ ლაპარაკობს. „ბისმარკი“ გამოირკვა, და თუ ნამდვილი ბისმარკი მთელ სახელმწიფოს ატრიალებდა და ევროპის პოლიტიკის ფაქტიური ხელმძღვანელი იყო, რუსეთის „ბისმარკი“ თვით არის სხე სი სურვილების ამსრულებელი, მათი შემჩერე და უჩინარი მმართველების ნების

ამსრულდებელი და არა სახელმწიფოს მმართველი და გამგებელი. თუ ასეთია „ბისმარკი“, რაღა იქნება მისი ნების ამყოლი ოქტომბრისტების პარტია? თუ ხელმძღვანელი გზადაბნეულია, მის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფნი რაღა მდგომარეობაში იქნებიან?

ამათი ბუნება ჩვენ უკვე გავარკვევით, მაგრამ არ აღგვინიშნავს ერთი გარემოება, სახელდობრ ისა, რომ მათ, მიუხედავად მათი გულახდილი კონტრ-რევოლიუციონერობისა, მაინც დასხემებოდათ ლიბერალური ფრაზეოლოგია და ღუმის ყოველ სესიის დასაწყისში, ან ვაკაციების დროს სწორეთ ამ ფრაზეოლოგიით ღმასპინძლდებოდნენ საზოგადოებას. დღეს საქმენი მათნი იქნება ნათლათ დაღადებენ მათ შინაარსზე, რომ ფრაზეოლოგია ვეღარ უშველისთ.

ადარც მათსა და სტოლიპინის პოლიტიკურ ფორმულასა აქვს ახლა აზრი და ნდობა. „ჯერ დამშვიდება და შემდეგ რეფორმებია“, გაიძახოდა პირველ ხანებში რუსეთის „ბისმარკი“ და ამ მის ლოზუნგს მხარა უქერდნენ ოქტომბრისტები. ეს იყო მათი პოლიტიკური სიპრძე. მაგრამ დღეს მისი შინაარსიც გამოიკვია. „დამშვიდებაში“ ძლიერ წინ წავიდა საქმე, იმდენათ წინ, რომ სამარისებური სიწყნარე მყარდება ოფიციალურ საზოგადოებაში მაინც. რეფორმებზე კი ლაპარაკიც არ არის. ამიტომ, დღეს ბრძაც კი ხედავს, რომ დღევანდელი მთავრობა და ხელმძღვანელი კლასები ვერც გამოიყვანებენ რუსეთს იმ ყრუ ქუჩიდან, რომელშიც მომწყვდეულია რუსეთის ცხოვრება, და არც არიან ამაში დაინტერესებული.

ღუმის მემარჯვენე ფრთა დღეს კმაყოფილია ღუმითაც და მთავრობითაც, რადგან დაწმუნდა, რომ რუსეთს არც ერთისგან არ მოეღოს „კონსტიტუციონური საფრთხე.“ მხოლოდ ამას შეეძლო მათი დამშვიდება და დამშვიდდენ კიდევ.

ამრიგათ, რუსეთის ცხოვრება ისევ ძველ წერტილზეა შეჩერებული. ვერ დასძრავს ამ წერტილიდან მას მესამე ღუმა, რომლის ღირსეული დამახასიათებელია პურიშკევიჩის ფრაზა: „აღსრულდა ფინლიანდიაო!“ ეს ცინიკური წამოძახილი სავსებით შეეუბნება მესამე ღუმის უკანასკნელი სესიის მოღვაწეობას და არავითარი გარანტია არ არის, რომ ხვალ იგივე პურიშკევიჩი არ წამოიძახებს: „აღსრულდა კონსტიტუციაო“. ჩვენთვის არც არის ამის წამოძახილი საჭირო, რადგან უმისოთაც ვიცით, რომ მარტო ქალაქებზე დაწერილი კონსტიტუცია შორს არ არის „აღსრულებისაგან“.

ასეთია დღევანდელი პოლიტიკური ვითარება. ღუმა თვითონ სპობს კონსტიტუციონურ ილიუზიებს. მან ყველასათვის თვალსაჩინოთ უარყო კადეტების მიერ მეორე ღუმის, და თუ გნებავთ, მესამის დროსაც წამოყენებული ლოზუნგი ღუმის დაცვისა და შენარჩუნების შესახებ. გამართლდა რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის მოწინავე რაზმების წინასწარმეტყველება, რომ თვით ღუმა კონტრ-რევოლიუციის იარაღი შეიქნებაო. მესამე ღუმა აქტიურ


როლს მხოლოდ უკან დახევაში, წარსულისაკენ პირის ბრუნებაში იჩენს.

ასეთი ღუმისა და ასეთი „სახალხო“ წარმომადგენლობის იმედი, რასაკვირველია, არავის არ ექნება. მასსა და დამე, ხსნაც მის გარეთ უნდა ვეძიოთ... ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ღუმაში ხალხის ინტერესების დაცველთა მოღვაწეობა არ იყოს საჭირო. პირიქით, სწორეთ ასეთ ღუმაში კიდევ უფრო მეტათ გაბედული და ენერგიული გამოსვლებია საჭირო. ყველა სხვა მოსაზრებათა გარდა ამ-ს საუკეთესო საბუთი ის არის, რომ ამ უვარგის ღუმაშიაც აქვს ადგილი თავისუფალ სიტყვას და ამ საშვლებით შეიძლება სარგებლობა. მისი შემწვობით დებუტატებს შეუძლიათ მთელ რუსეთთან ლაპარაკი, მათე-ლი საზოგადოების მხილება და ამ იარაღით უნდა ისარგებლონ ჩვენმა დებუტატებმაც. მათ უნდა გამოააშკარავონ ბურჟუაზულ-ფეოდალური პარტიების ნამდვილი სულის კვეთება, მათი მისწრაფებანი; უნდა დაანახვონ ხალხს მათი მოქმედების ნამდვილი სარჩული და მით ხელი შეუწყონ მშრომელთა თვითცნობიერების განვითარებას, ვინაიდან სწორეთ ეს განვითარება, შეგნება და გამოცდილება არის უკეთესი ზომავალის თავდები...

## სპარსეთის ვითარება.

### I

სპარსეთის დღევანდელი ფინანსური მდგომარეობა მეტათ ძნელ კრიზისს განიცდის. გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ კითხვის გადაწყვეტაზე და მოკიდებული დღევანდელი სპარსეთის არსებობის ბედ-ილბალი. სპარსეთის ხელში არ დარჩენილა არც ერთი შემოსავლიანი წყარო, გარდა გაძვალ-ტყავებული ხალხისა, რომელიც სულს ლაფავს აუტანელი გადასახადების გამო. ამავე დროს შეძლებული სპარსელი ხანები უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომებათ ხდებიან, ან და, თავიანთი ქონება ამ უკანასკნელთა მფარველობის ქვეშ შეაქვთ. მაგალითათ, პრემიერ-მინისტრ სეპხედარის ქონება რუსეთის მისიის მფარველობის ქვეშაა, იუსტიციის მინისტრის სერდარ მანსურის ქონება ოსმალეთის მფარველობის ქვეშ იმყოფება. ასეთი მაგალითები მრავალია, მაგრამ ჩვენ ეს ორი მოვიყვანეთ, როგორც უფრო დამახასიათებელი. მაგალითათ, წლი-ნახევრის განმავლობაში მარტო გილანში რუსეთის ქვეშევრდომათ 700—1000 კაცი გამადარა. ამის გამო რუსეთის კონსულმა გილანში განუტყადა რუსეთის ქვეშევრდომთ, რომ მათ არ მიეცათ სპარსეთის მთავრობისათვის მიწის ბაჟი. ყველა შემოსავლიანი წყაროები ან უცხო სახელმწიფოებსა აქვთ ხელში და ან კერძო პირებს. მაგალითათ, საუკეთესო გზა-ტყევილები რუსეთისა და მის ქვეშევრდომთა ხელშია. დამოყენები იჯარით არის გაცემული ბელგიელებზე, რომლის შემო-



სავლის ერთი მესამედი რუსეთს მიაქვს ვალის სარგებელში. ამას ზედ ერთკის რუსეთთან დადებული ის შემოკველი ხელშეკრულობა, რომლის ძალითაც სპარსეთს სხვა სახელმწიფოებთან სესხის აღების უფლება არა აქვს, ვიდრე ის რუსეთის ვალს არ გადაიხდის. რუსეთის სესხი კი დაახლოებით 35 მილიონ მანეთს უდრის.

სპარსეთის სათ ვეში მდგომამ მთავრობამ ჯერ-ჯერობით ვერაფერი ეღონა ფინანსური მდგომარეობის გამოსაკეთებლათ. გარეშე სესხი არ მოხერხდა, რადგან რუსეთ-ინგლისმა ისეთი პირობები წამოაყენეს, რომ მთვრობა იძულებული გახდა სესხზე უარი ეთქვა. ვერც შინაური სესხის საქმე მიდის კარგათ. ამაში ბრალი მიუძღვის მთავრობასაც, რომელმაც დღემდე ვერაფერითარ გეგმა ვერ მიაწოდა ხალხს სესხის გასანაღდებლათ. ამ ორი თვის წინათ, როცა გაზეთ „ირან ნოვ“-ის მეთაურობით მთლი სპარსეთი ამოძრავდა შინაური სესხის სასარგებლოთ, შესაძლო იყო, რამე გაკეთებულიყო. მაგრამ ახლა, როცა სეპეხდარმა **შინაური რეაქციისაკენ** ქნა პირი და როცა სესხზე აგრესიაც მიზუმდა, მეტათ ძნელია ამ მხრით რაიმეს გაკეთება. ეფრემის მეთაურობით მთვრობამ შემოიღო აქცოზი სასმელებზე, თამბაქოზე და თრიაქზე, მაგრამ ეს საქმეც მარტო თერანშია გვარიანათ დაყენებული. ამ ორი თვის წინათ მთავრობა შეეცადა სხვა ქალაქებშიც შემოეღოთ იგი, მაგრამ ხალხის პროტესტმა მას უკან დაახევინა. ასე მოხდა რეშტში და თავრიში. ამ ბოლო ხანებში დაიგზავნა მოხელეები აქციზის მოსაწყობათ, რომლებიც შეუდგენ კიდევ საქმეს, მაგრამ პროტესტი მიიწვ მქალაქრია. აქციზის წინააღმდეგ დიდ აგიტაციას ეწევიან ინჩაისტები. სამაგიეროთ, დაშნაკუკანები მხარს უჭერენ აქციზს, როგორც მათი ბელადის მიერ შემოღებულს. ფინანსთა მინისტრმა სკადა მარილზე მონაპოლიის შემოღება, მაგრამ ამით შინაური მარ ლის ფასმა აიწია და მისი ადგილი შემოტანილმა მარილმა დაიკირა...

თუ ყველა ამასთან გავიხსენებთ, რომ სპარსეთში დღეს თითქმის არავითარი მრეწველობა არ არის, მაშინ ცხადი იქნება, თუ რა საშინელ მდგომარეობაშია დღეს სპარსეთის ფინანსები, ეს უმთავრესი ძარღვი სახელმწიფოს არსებობისა.

ამას კარგათ ხედავს გერმანიის ბურჟუაზია და ამიტომაც დაიწყო პოტინი ემპრიელი ლუკმისაკენ. ხალხის სულიერი ვანწყობილებაც ხელს უწყობს გერმანიის გავლენის გავრცელებას. ხალხმა თავის-თავის იმედი დაკარგა, რუსეთ-ინგლისს მტრულათ უყურებს და ელის მესიას, მხსნელს. ასეთ მხსნელათ სახავენ გერმანიას და დიდ აგიტაციასაც ეწევიან მის სასარგებლოთ. ცხადა, რომ, თუ ერთი მხრით რუსეთ-ინგლისს პოლიტიკის მატარებელმა მთავრობამ, და მეორე მხრით, თუ თვით რუსეთ-ინგლისმა ვერ მოახერხეს გერმანიისთვის ხელის შეშლა სპარსეთში, იგი უეჭველათ დიდ ბაზარს მოიპოვებს იქ. როგორც ამბობენ, გერმანიას უკვე ჩაუვლია ტელში რამდენიმე კონცესია, მაგრამ ამაზე დანამდვილებით

ბით ჯერ ვერაფერს ვიტყვით, რადგან საქმის ნამდვილი ვითარება საიდუმლოებით არის მოცული. რას შვრება აქ დროს სპარსეთის მეჯლისი (პარლამენტი), ის მეჯლისი, რომელიც ერთათ-ერთ იმედს წარმოადგენდა სპარსეთის მოწინავე ელემენტებისათვის? შესაძლო მან მაზე დამქარებელი იმედის, ნაწილის მიიწვ, გამართლება?

უკვე 6 თვეზე მეტია, რაც მეჯლისი შეკრებილია და უნდა ვსთქვათ, რომ არც ერთი ღირს შესანიშნავი კითხვა არ ყოფილა მისგან წამოყენებული და გადაჭრილი.

დებუტატების პარტიულათ დაყოფა უკვე მოხდა. შესდგა ორი უმთავრესი პარტია: ეთედალიონი (ზო მიერნი), პარტია ფეოდალ მოღებვისა და დემოკრატიული, ცნობილ კონსტიტუციონალისტ თალი-ზადეს მეთაურობით. ეთედალიონი დღეს შეადგენს უმრავლესობას და მეჯლისის ბედ-იღბალიც მის ხელშია. პარტია კონსერვატიულია. იგი თითქმის ყველა კითხვებზე გაიძახის: ჯერ ეს სპარსეთისთვის ადრეაო და სეპეხდართან ხელჩაკიდებული მუშაობს. ამ პარტიის სულის ჩამდგმელნი არიან გილანის დებუტატები: მაზადულ სალტანე და ვეზირ-ზადე. მხოლოდ, ვითომ იდეურათ, ხელმძღვანელობს მას ცნობილი ავანტიურისტი რახიმ-ზადე, რომელმაც რევოლუციის დროს 5,000 მანეთი ჩაყლაპა. საქირაა აღინიშნოს, რომ ეთედალიონის წევრები ხანდისხან თავს სოციალ-დემოკრატებათ აღიარებენ. ამას კი იმიტომ სჩადიან, რომ ს. დ. აქ დიდი გავლენა აქვთ. ს. დ. პარტია დღეს აქ არ მუშაობს. მან გაუშვა ძველი ორგანიზაციები და რეორგანიზაციას ახდენს. ეთედალიონს კი სურს ისარგებლოს მისი გავლენით, მაგრამ ამას ჩქარა მოეღება ბოლო, რადგან სოც. დემოკრატია მალე შეუდგება მოქმედებას.

მეჯლისის უმცირესობას შეადგენს დემოკრატიული პარტია. მან თავისი პროგრამა უკვე გამოაქვეყნა, რომელზედაც შემდეგ მოვილაპარაკებთ, და ბლოკი შეკრა დაშნაკუკანებთან ეთედალიონის წინააღმდეგ. პარტიას აქვს თავის საკუთარი ორგანო, „ირან ნოვ“-ი. პარტია თუმცა რაცხვით მცირეა, მაგრამ იგი ხშირათა სცემს თავზარს მეჯლისის უმრავლესობას. მისი მეთაური თალი-ზადე ხშირათ უბნევს ხოლმე მათ გზა-კვალს. ასეთ ბრწყინვალე გამოსვლათ უნდა ჩაითვალოს მისი უკანასკნელი გალაშქრება სეპეხდარის წინააღმდეგ. თალი-ზადემ გამოაშვარავა სეპეხდარის სულისკვეთება, მისი გამყიდველი პოლიტიკა, რის შემდეგაც მეჯლისმა უნდობლობა გამოუცხადა ამ უკანასკნელს და რის გამოც სამსახურიდან გადადგომის განცხადება შეიტანა მთელმა კაბინეტმა. მაგრამ ეს მოხდა ძლიერი ორატორის პირადი გავლენით. თალი-ზადემ თავის მჭევრ-მეტყველობით დაიპყრო მეჯლისი და ქელი მოახრევიან თვით მოწინააღმდეგეებსაც-კი. მაგრამ საქმარისი იყო მეჯლისის დარბაზს გაშორებოდენ, რომ ეთედალიონის სულის ჩამდგმელნი ცრემლთა ფრქვევით შევედრებოდენ სეპეხდარს: არ დაგვლუპო, არ დაგვანებო თავიო. სეპეხდარმაც ისმინა მათი თხოვნა და ახლა

უფრო ზურგ გამაგრებული დაბრუნდა თავის ადგილზე... დღეს ეს უდიდესი ფეოდალი თავ-დავიწყებით ებრძვის ყოველივეს, რაც ფეოდალიზმის წინააღმდეგ არის მიმართული. იგი ებრძვის ახლათ გამოღვიძებულ დემოკრატიას; იკრებს თავის გარშემო ნათესავ-შეგობრებს; ავიწროებს ბექდვის თავისუფლებას და ებრძვის გერმანიის მომხრეებს: აძევებს გერმანიის პოლიტიკის მომხრე მინისტრებს და შეყავს სამინისტროში, ვინც მას სურს; ამ რამდენიმე დღის წინათ დახურა ორი რადიკალური გაზეთი: „შარკი“ და „ირან ნოვ“, თუმცა დემოკრატიის მძლავრმა პროტესტმა სამარცხვინოთ დაახევინა მას უკან. „ირან ნოვ“-მა ყურადღება არ მიაქცია მის განკარგულებას და მორიგი ნომერი გამოუშვა. „შარკი“-ის დაკავებული ნომერიც ნება დართულ იქნა...

ყველა ამებიდან ცხადია, რომ სამინისტრო დრო მოკმულ და სასიკვდილოთ გამზადებულ ფეოდალიზმის წარმომადგენელთა ხელშია. მაშასადამე, არავითარი პროგრესიც არ არის მათგან მოსალოდნელი.

რას შერება ხალხი? აი, ყველაზე უფრო საინტერესო კითხვა. ხალხის უმრავლესობა, გლეხობა დაბნელებულია, იგი კვლავ ფეოდალების მონაა. მას არ მიუღია მონაწილეობა ხანურ რევოლუციის და ჯერ-ჯერობით არც რაიმე სარგებელი უნახავს მისგან. სამაგიეროთ, თავს ყოფს და მოძრაობას იწყებს ქალაქის დემოკრატია. საერთოთ კი ხალხი პესიმიზმით არის შეპყრობილი, დაკარგული აქვს აღორძინების იმედი და, როგორც შევნიშნეთ, გარედან ელის შეველას. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ თუ სხვა სახელმწიფოთა რევოლუციებმა წარმოშვეს ძლიერი პიროვნებები, რომელთაც სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ძალა და ცოდნა შესწევდათ, — სპარსეთის რევოლუციამ ვერც ამ მხრით შეასრულა ჩვეულებრივი მოვალეობა. მართალია, რევოლუციონური ბრძოლის დროს მან ასპარეზზე გამოიყვანა სათარ-ხანი და ბაგირ-ხანი, მაგრამ ამას იქით ვეღარ წავიდა. ამ მოვლენის მიზეზებზე შეგვეძლო ცოტა რამ გვეთქვა, მაგრამ წერილი ისედაც გავვიგრძელო და ამიტომ ამაზე და ბევრ სხვა რამეებზეც ლაპარაკი ახლო რომავლისათვის უნდა გადავდოთ.

სერგო კლდისძირული

რუსეთის ცხოვრება.

პროფესიონალური კავშირები.

რაც დრო გადის, პროფესიონალური მოძრაობა თანდათან სუსტდება და ზოგან მისი არსებობის კვალიც კი აღარ ემჩნევა. შექარხნე-მეთხრობეების ორგანო „მრეწველობა და ვაჭრობა“ იწმინდება, რომ 1908 წელს დაშლულს შეკავშირებული მუშების რიცხვი 40.000 აღმატებოდა, 1909 წელს კი 13.000-დეც ვეღარ აღწევდა. შესაძლებელია, ვაჭრებისა და

მრეწველების ორგანო ცოტა ამღაშებს, თავის მოწინააღმდეგის არმის უფრო სუსტათ აცხადებს, ვინც ის ნამდვილათ არის, მაგრამ ესეც უნდა ითქვას, რომ ეს შეხედულება სინამდვილიდან ძალიან არ უნდა იყოს დაშორებული. პროფესიონალურ მოძრაობას რუსეთში ცუდი დღე დაადგა.

შესუსტდა და დაიქსაქსა მუშათა მოწინავე ელემენტები და მათთან ერთად შესუსტდა პროფესიონალური მოძრაობაც. მოწინავე ელემენტებს უგაჟინებენ, რომ ისინი მეტათ ბრძოთ მისდევენ დოკმას, კრიტიკის ფართო მასსას, ვიწრო წრეებს არა შორდებიან და ამან გამოიწვია მათი დაქსაქსავა და შესუსტება. მაგრამ ვერაფერს ამის მსგავსს ვერ უსაყვედურებენ პროფესიონალურ კავშირებს. მიუხედავად ამისა, მასაც ისეთივე დღე დაადგა, როგორც პირველს.

არავითარი საფუძველი არა აქვს იმ შეხედულებას, ვითომ ეკონომიური კრიზისების დროს მხოლოდ პროფესიონალური მოძრაობა სუსტდება, სმაგვიეროთ ფართო საზოგადოებრივ ელემენტს მოწინავე ელემენტებს. ნამდვილათ მოწინავე ელემენტების და პროფესიონალური კავშირების ბედი მჭიდროთ არის შეკავშირებული ერთი მეორესთან და მუშათა საქმის საერთო მდგომარეობასთან. ორივენი ერთსა და იმავე დროს ყვავდებიან და ერთსა და იმავე დროს სუსტდებიან.

ორი საზოგადოებრივი ელემენტი ერთი მხრით კაპიტალისტები და მათი ბატონ-პატრონები, მეორე მხრით მუშათა ენერჯის შესუსტება, მუშათა ინდიფერენტისმი, გულგრილობა.

თუ რამდენათ შესუსტდა პროფესიონალური მოძრაობა, სჩანს სხვათა შორის იქიდან, რომ მოსკოვში 160 პროფესიონალურ კავშირიდან დღეს მხოლოდ 16 არსებობს. მოსკოვის რაიონში კი არც ერთი აღარ არსებობს, როგორც ამას მოწმობს ჟურნალი „მრეწველობა და ვაჭრობა“. ასეთივე მდგომარეობაა ჩრდილო კავკასიაში, ნიუნი ნოვგოროდში, თიფლისში და სხვაგან.

საფაბრიკო რევიზორის, გ. ე. ვარზარის მიერ შეკრულ ელემენტებიდან სჩანს, რომ მუშათა გაფიცვების საზოგადოებრივი რიცხვი 1905 წელს მიაღწია თავის უმწვერვალეს საფეხურს, ამ წლიდან კი თანდათან კლებულობს, კლებულობს აგრეთვე მათში მონაწილეთა რიცხვი. ამ შესუსტებას გვაჩვენებს შემდეგი ცხრილი:

წელ.	გაფიცვების საზოგადოებრივი რიცხვი	მონაწილეთა რიცხვი	ეკონომიური ხსიათის გაფიცვები	მონაწილეთა რიცხვი
1905	13.995	2.863.173	4.388	1.051.029
1906	6114	1.108.406	2545	457.721
1907	3573	740.074	973	200.004
1908	892	176.101	428	83.407

ეს ცხრილი აშკარათ აჩვენებს, რომ წლით-წლით მცირდება გაფიცვათა რიცხვიც, და მათში მონაწილეთა რიცხვიც. თუ რამდენათ ხსენებული იყო გაფიცვა სხვა და სხვა დროს, ეს აშკარათ სჩანს შემდეგი ცხრილიდან:

ერთ გაფიცულ მუშაზე მოდიოდა

წელს	დღ.
1906	8,9
1907	7,6
1908	9,1

ამ გაფიცებიდან დასრულდა

	1905	1906	1907	1908
მუშების გამარჯვებით	23,7%	35,4%	16,2%	14,1
ორივე მხარის დათმობით	46,9	31,1	26,1	17,0
მწარმოებელთა სსსრკებ.	29,4	33,5	57,6	68,8

1909 წელს გამოქვეყნებულია ცნობები ნახევარი წლის შესახებ. ამ ხანში ნახევარია 89 გაფიცვა, რომელთაგან მხოლოდ 10 გათავდა მუშების გამარჯვებით და ისიც მხოლოდ წვრილ ფაბრიკებში. ამხარით, რაც დრო გადიოდა, გაფიცვები თანდათან უფრო იშვიათათ ხდებოდა და უფრო სშივრათ მუშების საზარალოთ და მწარმოებელთა სსსრკებლოთ თავდებოდა. 1905 წელს მწარმოებლებმა მოიგეს ყველა გაფიცვების მხოლოდ 29,4%, 1908 წელს 68,8%, 1909 წელს კი თითქმის 80%.

ზრთოესიონალური კავშირების შემცირება და დასუსტება ავერსებს გაფიცვების საქმესაც. ზრთოესიონალურ კავშირებს საშუალებას არ აძლევს, შეასრულონ თავისი ზირდაზირი დახიშნულება, მათი ასპარეზი განისაზღვრება უბრალო საურთიერთო დახმარებით. ზრთოესიონალური კავშირების გულწრფელი მუშაკები ხედავენ, რომ ვერაფერს ხდებიან 4 მარტის კანონზე აშენებულ ორგანიზაციებში, ერთი ნაწილი იმედ დაკარგული სრულიად თავს ანებებს კავშირებს, მეორე კი კავშირის მთელ მოქმედებას უბრალო ნივთიერი საურთიერთო დახმარებით საზღვრავს. ამხარით მდგომარეობა, რასაკვირველია, დიდხანს ვერ დააკმაყოფილებს ვერც მათ და ადრე თუ გვიან, მათაც ან გული გაუტყდებათ და კავშირს დაშორდებიან, ან დასხვა რამე გზას მოსძებნიან.

ზრთოესიონალური კავშირების დღევანდელი მდგომარეობა ჩვენ წინ აუჩქარებს კითხვას: ვინ უნდა ითავოს მათი ადგილსა და შეკავშირება? ზოგაერთების აზრით, ეს უნდა მიიღონ თავის თავზე მუშათა მოწინავე ელემენტებმა. მაგრამ ეს შესედელობს არ არის მოსაწონი. მართალია, მოწინავე ელემენტები მარტო სახელმწიფო დუმაში არჩევნებით კი არ უნდა განსაზღვრავდნ თავის მოქმედებას, მათი საბიუჯეო უფრო ფართო და მრავალმხრივია; აქამდის მუშათა მოწინავე ელემენტები მცირე მონაწილეობას იღებდნ ეკონომიურ ბრძოლაში, რამაც სამართლიანათ გამოიწვია უკმაყოფილება და უფრო გულმოდგინე მონაწილეობა მიაღებინა ამ ბრძოლაში, მაგრამ მარტო მათთვის მთელი ამ საქმის დაკისრება საქმეს აწებებს. ამისთვის უნდა იქნეს შექმნილი განსაკუთრებული ორგანოები, რომლებმაც უნდა უხელმძღვანელონ უმთავრესათ ეკონომიური კითხვების გამორკვევას და მწარმოებლებთან ურთიერთობის მოწესრიგებას. ამხარით ორგანოებში ადგილი უნდა ექნეს მოწინავე ელემენტებთან ერთათ ყველა სხვა ელემენტებსაც, რომლებსაც მწარმოებლებთან ურთიერთობის მოწესრიგება და ეკონომიური კითხვების გამორკვევა საჭიროთ მახნია. მოწინავე ელემენტები უნდა ცდილობდნ სწორ გზაზე დაეყენონ საკლებათ შეგნებული ელემენტები. ამისთვის უნდა შეადგინონ ყოველ კავშირში ცალკე ჯგუფები და უნდა ცდილობდნ, მთელი კავშირის მოღვაწეობა სასურველი გზით მიმართონ.

მოცული, ასპარეზი ეშლება ათასგვარ ხალხის მატყუარა ავანტიურისათა პარპაშს, ასპარეზი ეშლება კრუ-მორ-წმუნოებისა და სიბნელის მქადაგებლებს. ასეთი ტიპები დღეს მრავალია რუსეთში და ერთ ამათგანს წარმოადგენს „ნეტარი მოხუცი“ გრიგორი რასპუტინი. რასპუტინი ეკუთვნის „ღვთის მსახურთა“ რიცხვს. მისი „რელიგიოზურ-ფილოსოფიური“ თეორია ადამიანის სულის დახსნის შესახებ ასეთია:

— ჩემში—ამბობს მოხუცი—არის იესო ქრისტეს ნაწილი და მხოლოდ ჩემი საშვადლებით შეიძლება ხსნა. ამისთვის საჭიროა სულითა და ხორცილთ ჩემთან შეერთება. ყველაფერი, რაც ჩემგან გამომდინარეობს,—არის წყარო სინათლისა, განმკურნებელი ცოდვებისაგან.

აქედან გამომდინარეობს ის პრაქტიკული დასკვნა, რომ „ნეტარ“ გრიგორი რასპუტინს ყველაფრის ნება აქვს. ამის თანახმა არიან მისი მიმდევრები, ან უკეთ, მიმდევარი ქალები, და ბევრმა კიდევ განახორციელა პრაქტიკაში ეს თეორია...

სარგებლობდა-რა მრავალი „მაღალი წრის“ წევრთა მფარველობით, „ნეტარ მოხუცს“ დიდი გავლენა ქონდა საზოგადოებაში და თავისი თეორიით ბევრ სისაძაგლესაც ჩაღიოდა. გაზეთ „რეში“ მოყვანილია ორი მეტათ დამახასიათებელი წერილი, რომელიც აქვე მოგვყავს.

ერთი ცნობილი მანდილოსანი ყაზანიდან შემდეგსა სწერს ეფისკოპოს თეოდანეს:


„ამ ერთი თვის წინათ ერთმა პეტერბურგელმა ნაცნობმა ქალმა მოიყვანა ჩვენსას ნახუცი ბრიგორი რასპუტინი. პირველი შთაბეჭდილება მისგან იყო ძლიერი, ღრმა. მთელი ჩვენი ოჯახი დიდხანს იმყოფებოდა მისი გავლენის ქვეშ. ჩემი ქალიშვილები აღმერთებდნ მას, დიდებულ წმინდანათ სთვლიდნ... ჩემი ქალიშვილები ერთი 16 წლისა არის და მეორე ოცისა. და აი, ერთხელ მე მივედივარ ქუჩაში და ვხედავ ვერძე სურათს: აბანოდან გამოდის რასპუტინი და თან ახლავს ჩემი ორი ქალი... უნდა შეხვიდეთ დედის მღვთაბრებობაში რომ გაიგოთ, თუ რა საშინელებამ მოიცო მაშინ ჩემი არსება. მე გაჩერდი და ენა ვერ დავსძარი. ვუყურებ შვილებს და მოხუცს და ვერ გამიგია: სიზმარია ეს თუ ცხადი? —

— აი, ახლა გაბრწყინდა ქეშმარიტი სინათლე ხსნისა,— ეს იყო მოხუცის სიტყვები. მე კვლავ ვსდუმვარ. მოხუცი კი შემეცქერის და სატანისებურათ იღიმება“..

რასპუტინის მეორე მიმდევარი ქალი შემდეგსა სწერს ერთ „მაღალი“ საზოგადოების პირს:

„მივედივარ რასპუტინთან მის სამშობლო ციმბირში. მოხუცს მე გაეცანი პეტერბურგში და ოთხი თვის განწავლობაში არ მოვშორები. მ ხუცმა ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოხდინა. მე ნიკიტოვ მშობლები და გავყევი მას. ერთ დღე ჩვენ მივედოდით პრედი კლასის საკუთარ კუბეში სხვათათ საღამოთ ორივენი და ვბაასობთ ღმერთზე, სულს ხსნავ და დახოცილთა ხელახალ აღდგომაზე. უცებ მოხუცი წამოდგა, მოვიდა ჩემთან და დამიწყო კოცნა. დიდხანს, დიდხანს მკოცნიდა და მეალერსებოდა რასპუტინი. შემდეგ კი... გამწმინდა ცოდვებისაგან... ამის შემდეგ მიბრძანა, მასთან ერთათ ასჯერ მეტანია გამეკეუებია. „შეიძლება, გრიგორი ეფიმესძე, ის, რაც ჩვენ ახლა ჩაგინდინეთ, ცოდვა არის?“—ვკითხე რამდენიმე ხნის შემდეგ მე.

„ნეტარი მოხუცი“. მოგვხსენებათ, რეაქციის ხანაში, როცა საზოგადოებრივი ცხოვრება ბნელით არის



„არა, შეილა ჩემო, ეს ცოდვა არ არის,— მიპასუხა მოხუც-მა.— ცოდვა— სუბიექტიური ცნებაა, ყველაფერი კაცზეა დამოკიდებული... ჩემთან ხორციელი კავშირი არავითარი ცოდვა არ არის, რადგან ამაში გამოსჭვივის ჩემი სულიერი სიყვარული. უნდა გიყვარდეთ ისეთი მოხუცნი, რომელთაც შეუძლიათ ასეთი სულიერი სიყვარული. ჩვენ კვლავ ჩავიდნეთ იმას, რაც ახლა ჩავიდინეთ და შენ მაშინ მიიღებ სულის ხსნას“.

შემდეგ გიორგი რასპუტინმა მოითხოვა ჩემგან, რომ ამ „წმინდა“ სულაერ და ხორციელ კავშირზე არაფერი მეთქვა მღვდლისთვის აღსარების დროს“.

**ვაჭრებს არ სძინავთ.** სმოლენსკის გუბ. ქ. ბელი-დან „რეჩს“ შემდეგს ატყობინებენ: „ამ რამდენიმე ხნის წინათ 40 ვაჭარმა, რომელთა უმრავლესობა „ქეშმარიტ რუსთა კავშირს“ ეკუთვნის, დეპეშით მიმართა ადგილობრივ დეპუტატს—ოქტომბრისტ მიხაილოვს. დეპეშაში ვაჭრები სთხოვდნენ მიხაილოვს, რომ მას შესწორება შეეტანა ნორმალურ დასვენების შესახებ კანონ-პროექტში. ვაჭრებს ისეთი შესწორება უნდოდათ, რომ კვირა დღეებში ვაჭრობა რაც შეიძლება გრძელი ყოფილიყო და ათორმეტ უქმეებშიც ვაჭრობის ნება მიეცათ.“

ჩქარა მიხაილოვმა აცნობა ვაჭრებს: თქვენი წინადადება შევიტანე კომისიაში და თუმცა მემარჯვენეები და მემარცხენეები წინააღმდეგი იყვნენ, მაგრამ ნაციონალისტები და ოქტომბრისტები შემპირდნენ მხარის დაჭერას და, მაშასადამე, საქმე ქუდშიაო“!..

ღიახ, არ სძინავთ ვაჭრებს! მათ კარგათ იციან თავიანთი ინტერესი. რა კარგი იქნებოდა, რომ ყველა ნოქარს მათგან აეღო მაგალითი!!

**შავრაზმელთა ბანაკში.** გაგვგონებთ გრაფი კონოვნიცინი. სულ ცოტა ხნის წინათ ის ადვილ ქეშმარიტების სული და გული იყო, მაგრამ ახლა მასა და ტოლმარხვს შორის მავმა კატამ გაიბნინა და ისიც დაეცა... დასცეს მისმა გუშინდელმა ძმებმა. მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდნენ და ახლა მოსდგენ და ვინ იცის, რას არ აბრალებენ „გაუბედურებულ“ გრაფს.

ამის გამო ვახ. „ადესსკია ნოვოსტი“ რამდენიმე საყურადღებო კითხვას უყენებს ადესის შავრაზმელებს.

„თუ მისი (კონოვნიცინის) მოქმედება დიდი ხანია მიგაჩნდათ მავნებლათ და საზარცვინოთ, მაშ, რათ აქამდე არ ააშკარავებდით მას საქციელს და პირიქით, რათ აყენებდით მას სადებუტატო კანდიდატათ?“

შემდეგ ვახეთს მოყავს გრაფის მიერ ჩადენილი აუარებელი ბოროტ-მოქმედებანი, რომელთა შესახებაც კავშირის წევრებმა ყველაფერი იცოდნენ, მაგრამ მაშინ არ ააშკარავებდნენ. „ყველა ის ფაქტები—ამბობს ვახეთი,— რომლებიც ახლა მოყავთ კონოვნიცინის წინააღმდეგ, სულ ძველებია... რა არის ახალი თუნდ იმ ბრალდებაში, რომ გრაფს „ძლიერ უყვარს სხვისი ფულები?“

ვინც იცნობს შავრაზმელთა ბუნებას; ვინც იცის, რომ მთელი მათი მოქმედება ეს ბოროტ-მოქმედების, ძალმომრეობისა და გარყვნილება-გათახსირების განხორციელება; ვინც იცის, რომ ისინი მუდამ ბნელში აკეთებენ თავიანთ შავ საქმეებს,—იმისთვის არ იქნება გა-

საკვირალი, თუ რათ მალავდნენ კონოვნიცინის მოქმედებას წინეთ და რათ ააშკარავებენ ახლა!

## სახელმწიფო ღუმა.

უკვე შეწყდა სახელმწიფო ღუმის სხდომები. უკანასკნელ კვირაში საყურადღებო კანონ-პროექტი ღუმას აღარ გაუჩრჩვია. იღებდა წვრილმან კანონ-პროექტებს, შეკითხვებს. ღუმის სხდომებს დეპუტატების მცირეოდენი ნაწილი ესწრებოდა. მაინც ღუმის მოღვაწეობაში უკანასკნელი კვირა დამახასიათებელია. წინათ ესა თუ ის კანონ-პროექტი, რომელიც ცოტათ თუ ბევრათ საქობროტო კითხვას ეხებოდა, ხანგრძლივ კამათს იწვევდა. კამათში სხვა და სხვა ფრაქციები იძულებული ხდებოდნენ თავისი შეხედულება, თავისი მოსაზრება გამოეაშკარავებიათ. მართალია, ეს გარემოება მთავრობას მაინცა და მაინც ხელს არ უშლიდა, თავისი გაეტანა: ღუმა იმას ადგენდა, რაც მთავრობას სურდა, ღუმის მიერ მთავრობის კანონ-პროექტში შეტანილი შესწორებები წმინდა პლატონიური ხასიათისა იყო უმეტეს შემთხვევაში, მაგრამ კამათის დროს ოპოზიციას საშუალება ეძლეოდა მოწინააღმდეგეების ფიზიონომია გამოეაშკარავებია, მათი სულის კვეთება ნათელ ეყო, და თან თავისი შეხედულებაც ემცნო ხალხისათვის. უკიდურესი მემარცხენეების ღუმაში ყოფნის უმთავრეს მიზანს სწორეთ ეს გარემოება შეადგენდა.

ღუმის უმრავლესობის საქციელმა ფინლიანდიისა და დასავლეთ გუბერნიებში საერობო კანონ-პროექტების გარჩევის დროს ამავე გზაზე დააყენა სხვა ოპოზიციონერი ფრაქციებიც. მათ აშკარათ დაინახეს, რომ რაიმე შემომქმედებითი მუშაობა შეუძლებელია და ცოტათ თუ ბევრათ მხარი დაუჭირეს სოც.-დემოკრატიულ ფრაქციას ღუმის სააგიტაციო ტრიბუნათ გადაქცევაში.

უკანასკნელ კვირას ეს საშუალებაც მოუსპვეს ოპოზიციას. კანონ-პროექტებს თავის დროზე არ უჩიგებდნენ ღუმის წევრებს, უკანასკნელები ვერ ასწრობდნენ მათ გაცნობას, კანონ-პროექტებს საჩქაროთ იხილავდნენ, თითქმის უკამათოთ იღებდნენ და სარედაქციო კომისიას აბარებდნენ. ოპოზიციამ სცადა პროტესტი გაეცხადებია, მაგრამ ამაოთ.

ამ გარემოებამ გამოიწვია ის, პირველი შეხედვით, გასაოცარი მოვლენა, რომ კადეტების პარტიაში, რომელსაც ღუმაში ორგანიულ მუშაობის იმედი განუყრელათ თან დასდევდა, ამ პარტიაში იჩინა თავი ე. წ. „ოტხოვიზმმა“, რომელიც დღემდის მხოლოდ სოც.-დემოკ. პარტიის მემარცხენე ფრთის ერთი ნაწილის კუთვნილებას შეადგენდა. კადეტების უკანასკნელ კონფერენციაზე ერთმა დამსწრეთაგანმა წინადადება შეიტანა: რადგან კადეტების ფრაქციის არსებობა ღუმაში საქმის მდგომარ-

რობას ვერ აუმჯობესებს, მისი იქ ყოფნა ზედმეტია, და უმჯობესი იქნება, ფრაქციამ ღუმას თავი დაანებოსო. კადეტებმა, რასაკვირველია, სასტიკათ გაილაშქრეს ამ მწვალებელის წინააღმდეგ და ახლათ აღორძინებული მწვალებლობა მყისვე ძირიან ფესვიანათ ამოაგდეს. ცხარე კამათის შემდეგ წინადადება **ერთხმათ** უარყოფილ იქნა. ალბათ თვით ავტორიც შეაშინა თავისმა ახალმა გამოცდებამ. ლოიალობას დაჩვეულ კადეტებისაგან ასე მოულოდნელათ და ასე უკმეხათ პოზიციის შეცვლა, რასაკვირველია, არც იყო მოსალოდნელი. მაგრამ ეს კადეტების წუთიერი „ოტხოვიზმი“ მაინც ნათლათ ახასიათებს მიმდინარე მომენტს. მშვიდობიან გზის იმედი დაკარგეს იმათაც კი, ვისაც ასეთ არა სჩვევიათ.

## ს ა ზ დ გ ა რ გ ა რ ე თ ი .

**გერმანია.** ელჟარდ ბერნშტეინმა პირველათ ამ 11 წლის წინათ ამართა რეფორმის დროს, გამოაცხადა თავისი თავი დემოკრატიულ ნიადაგზე დაშვარებულ თანდათან განვითარების ზრცვის მძებრად, აშკარათ აღაჩა, რომ ჩვენი სბოლო მიზანი—სოციალიზმი არააბააო. ამ გამოსვლით თავისი სსე, თავისი გულის ნადები სჩვეუროთ გამოაშკარავა. ამნაირათ, რეფორმის დროს ქვეშ ედ. ბერნშტეინი შეუდგა ყოველივე იმის წვას, რასაც ემსახურებოდა. მისი მოძღვრება მოკლეთ ამ ორ დებულებაში გამოთქმებოდა: 1) გერმანიის სოც.-დემოკრატიულმა ზარტიამ უნდა გამოაცხადოს თავისი თავი სოციალურ რეფორმების ზარტიად და უარეოს კატასტროფების თეორია, 2) ამ სოციალურ რეფორმების განსარტყულებლათ სკამრისია დემოკრატიული წესწობილება; იქ რეფორმებს არავითარი დაბრკლება არ გადაეღობება წინო.

მისი თანამაზრე აუერი, შორს გამჭვრეტელი ადამიანი და ზრქტიულ მოქმედებაში გამოწრობილი, ნათლათ ხედავდა, რომ თავისი ზარტიისა და ზრცვამის ასე აშკარათ უარეოთა უხერხულია. მეგობრულათ მხარე ხელი დაუტყაზუნა „სოციალისტური ობრტუნიზმის მამა მთავარს“ ედ. ბერნშტეინს და ამ გუჯახდილობისათვის ვირი უწოდა („სწორეთ ვირი ხარ, ედ.“). ამისთანა სჩქეზე ლაზრაკი არ შეიძლება, ხმა ამოუდებლო უნდა გააკეთო, ამობოდა აუერი. ძირითადი საფუძვლის თეორიულათ უარეოთა ზრქტიულათ განდგურება არჩია მან, როგორც რეალური ნიადაგის მოყვარულმა ადამიანმა.

იმის დასმტყიცებლათ, რომ რეფორმისტად გადაქცევა ჩინებულე რამ არის, ედ. ბერნშტეინმა მოიყვანა აუარებულე სკეჭო დირსების ციფრები, ბევი ვარჯიშა კადამი ისტორიულ აუცილებლობას და დალექტიურ მატრიალიზმზე უმსგავსო მსჯელობაში, გადასწვდა ლანგეს, შეაწუნა კანტიც, მოიყვანა მათი ნაწერებიდან ციტატები.

ედ. ბერნშტეინის ამნაირმა აღმოჩენამ აღტაცებაში მოიყვანა ყველა ქვეყნის ობრტუნიისტები. ბურჟუაზიამაც კარგათ

შეიგნო მისი მნიშვნელობა. ერთი მხრით ობრტუნიისტები დესსწაულობდენ თავის გამარჯვებას, რომ დამარცხეს სექტანტობა, დოგმატიზმი. მეორე მხრით, ბურჟუაზიული ობრტუნიკასები აშკარათ ხედავდენ, რომ ამით უარეოთელი იყო ძირითადი საფუძველი, სოციალიზმი დამარცხებულე იყო და არარად ქცეული. კაცს ეგონებოდა, გამართლდა „მსოფლიო ისტორიის კომედიის“ ითანე შერის წინასწარმეტყველება: როცა სოციალიზმი მომწიფდება და ზოლიტიკურათ სრულწოდვანი შეიქნება, ხელს აიღებს უტოზიასე და თანამედროვე სსოციალდების რეფორმების მეხებით გაუმჯობესობას შეუდგებაო. „მსოფლიო ისტორიის კომედიას“ თითქო ემატებოდა ახალი ეფექტისანი ნაწილი: სოციალიზმი უნდა გადაქცეულიყო რეფორმისმად. სოციალიზმი, რომელიც ლამობდა ძირიანათ გარდაქმნა კაპიტალისტური წესწობილება, ჩვენ თავსწინ უნდა გადაქცეულიყო რეფორმისტულ მალამოდ, უვარგის წამლად დასდებოდა სსოციალდებრივ წელულებს, და დაეფარა ისინი სითლისკან.

ამნაირი ცვლილება ზირველი არ იქნებოდა მსოფლიო ისტორიაში. განა ქრისტიანობა, რომელიც თავდაზირველათ ებრალ და რომელ ლუმენ-ზროლეტარიატის სარწმუნებას შეადგენდა, შემდეგ კაპიტალისტულ კლასების იდეოლოგიად არ იქცა? ჭუმანისტების და რაციონალისტების რეფორმაციას რა აქვს საერთო ინგლისულ-ამერიკულ შეწვრდამანებებისა და ზრუსიელ თუნკების ზრტესტანტულ ზირმთხეობასთან? განა დეკანდელი ციხეების კედლებზე არ აწერია საფრანკეთის დიდი რეფოლიუციის დევიზი: ძმობა, ერთობა, თავისუფლება? ადვილი შესძლებული იყო, სოციალიზმისც ამნაირი ბედი სწვეოდა. სკამრისია, სოციალიზმი დავარქვათ იმას, რასაც არაფერი საერთო არა აქვს რა სოციალიზმთან, და მარჩა, გათავდა.

ამნაირათ აზრცვნობენ ინგლისელ მინისტრის მსგავსი ხალხი, რომელმაც ცაცხადა, ახლა ჩვენ ყველანი სოციალისტები ვართო. ამნაირათ მსჯელობენ საფრანკეთის მინისტრების მილიერანის, ბრანის, ვივიანის მსგავსი ხალხი, რომლებიც ჯარს მუშების დასახერტათ გზახანს, გულში კი ხელს იტყვენ და გაიძახან: ჩვენ სოციალისტები ვართ, ჩვენ ჩვენი იდეოლისოვის, ჩვენი წარსულისათვის არ გვიდალაცნიაო.

ობრტუნიისტების ამნაირი სჩქიელი იწვევს მეორე მხრით გაუსწორებელი, ქედ მოურჩელი სოციალისტების მხრით, რომელთაც არ სურთ მოსზონ თავისი ზარტია და თავისი თავი, თავდავიწვებულ ბრძოლას, უგანსკნელი მიზნის, დოგმისა და ორტოდოქსიის დაცვას. თავის დაცვის ინსტინქტმა ჩინს მათში თავი. ეს უკვე ათი წელიწადია, სოციალიზმი ცაცხარებით იტყვს თავის არსებობას, თავგამოდებით ებრძვის რეფორმისმს. ამ თუ იმ სოციალისტის ამ კითხვასთან დამოკიდებულება არის იმის მახკეტიკელი, სოციალისტების რომელ ნაწილს კვუთენის: მარჯვენას, მარცხენას თუ გამოურგველია ჯერ?

ობრტუნიზმი აქვს თავისი ნიშნობილი თვისებები, რომელთა სხედვით შეიძლება გამოიჩინოს კაცმა, ვინ არის ობრტუნიისტი და ვინ არა. აი, ეს თვისებებიც: 1) სოციალიზმის ძირითადი მოთხოვნილებების დიკვიდაცია, ან არარად ქცევა; 2) მათ მაგივრათ ბურჟუაზიულ ზარტიებთან ერთათ სკარბოტო კითხვების წამოყენება, სოციალიზმისა და მისი გან-

ხორციელებისათვის ბრძოლის მსგავრად ბრძოლა ზოლიტიკურ და სოციალურ რეფორმატორებისათვის. 3) რეფორმიზმი იძლევა ცოტას, მხოლოდ ახლავს. როგორც შეფასებულა ჯვრის, ისე რეფორმიზმს ეშინია, რომ რაიმე ნაირათ არ დაკარგოს კეთილ-განწყობილება არსებულ წესწებობილებასთან და ამნაირათ არ მოუსხას თავის თავს მოქმედების სავალდებულება. 4) რეფორმიზმის დამახასიათებელია აგრეთვე „საფეხურების თეორია“. ეს თეორია რეფორმიზმის ლოგიკური დასკვნაა. რეფორმიზმი ცდილობს ნაწილ-ნაწილათ შეაკეთოს და გააუმჯობესოს თანამედროვე წესწებობილება. ამნაირი შრომა კი შეიძლება მხოლოდ თანდათანობით, ეფექტ-დღეს, ეფექტ წამს. როგორც ბუნებამ, ისე არც რეფორმიზმა არ იცის ნახტამები. ჩვენ უკანასკნელს მიზანს ჩვენ ვაღწევთ ეფექტ-დღე ჩვეულებრივი, თანამედროვე წესწებობილებასთან შეთანხმებული მუშაობით. 5) ობრტუენისტული რეფორმიზმი მასის განუვითარებლობით და შეუკნებლობით აპირებს თავის არსებობას. ის აღმერთებს მასიურ მოძრაობას, მასიურ ლტოლვილებას, რომელიც დიდათ განსხვავდება მასის შეკნებისადმი ლტოლვილებისაგან. ობრტუენიზმი მით უფრო ძლიერია, რამდენადაც უფრო სუსტია მასაში სოციალისტური შეკნება. ამით აიხსნება, რომ მასიურ მოძრაობას უზირდაპირებენ მუშათა მოწინავე ელემენტების შეკნებულ ზეგავლენას, მუშათა მასის — სოციალისტურ ინტელიგენციას, სტიქიურ მოძრაობას — შესაფერათ მოწყობილ-შეკავშირებულ მოძრაობას. 6) ამითი აიხსნება ის გარემოებაც, რომ ასე მადლიდან დაუფრებენ მოწინავე ელემენტების შეკავშირებას, რადგან ეს კავშირები მცირე ერთეულებიდან იწყება. რას წარმოადგენს ოპკანესავით უზარმაზარ მასიურ მოძრაობასთან შედარებით მოწინავე ელემენტების მცირე ერთეული? „არაფერს“, იტყვიან ობრტუენისტები. ობრტუენისტ-რევიზიონისტები ძირითადი დებულებების ბუნებრივი უარყოფელია (ლიკვიდატორი). უორესისტებს და მათ მსგავსთ არ ეშინებათ „ზარტიული ვიწრო ფარგლები“, „ზარტიული ბრტყალები“, „ზარტიული დისციპლინა“, — „საზოგადოებრივი აზრი“ მათ მოწინავე ელემენტების კავშირის მსგავრებას უწყობს. 7) კლასთა თანამშრომლობა. რეფორმების კატარეხა მხოლოდ გაბატონებული ზარტიების დახმარებით შეიძლება. რეფორმიზმი ერთ ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს ბურჟუაზიული ზარტიების დაუხმარებლათ. აქედან წარმოსდგება 8) იდეური არეგ-დარეგა, ეგვლაფრის შერიგების, მიფუჩიების, მიმადლის სურვილი. მათი იდეური მხარე უფერულია, თეორიულათ თავის აზრის გამართლებას არ სცდილობდენ, მუსხს იდრეკენ ბურჟუაზიული მეცნიერების წარმომადგენელთა წინაშე. მათი ლოზუნგები ხანდახან ისე დაწვრილმანდება, რომ ერთი დღის გაფიცვას ან და ადგილობრივ მოთხოვნილებებს არა სცილდება. მთელს იფიქრებენ, მის ნაწილს ემსახურებიან, დიდებულ საქმეს უკუაგდებენ — აუარებელ წვრილმან, სშირათ საბავშვო საქმეების კაკოტებას ანდომებენ დროს და ენერჯიას. 9) უკანასკნელი ნიშნობლივი თავისება ობრტუენისტებისა არის ინსტიტუტური სირცხვილი თავისი არსების წინაშე. აქედან წარმოსდგება ის კარეუმება, რომ ობრტუენისტები უარყოფს თავის არსებობას, დაჟინებით გაიძახის, შე — მე არა ვარ. მას არ ეოფნის მოქალაქობრივი გამბედაობა თავის თავს თავისი სხელი უწოდოს. ბევრი მიხეველ-მხსვეული, სშირათ არა ნორმალური გზებით

სიარულია სსჭირა, რომ ობრტუენისტები დანაშაულობაში დაიჭირა და დასამტკიცებელი საბუთები უზოვნა. ბერტუენის ანა-სოდეს არ ანატოგებს თავის თავს, რომ თავის გულის სადებო ისე აშკრათ აღიარა და გამოაცხადა, ჩვენი საბოლოო მიზანი არააობაა. ბერტუენის მგალითმა და აუერის რჩევამ სხვა ობრტუენისტები ჭკუახე მოიფანა. არც ერთ მათგანს არ სურს, რომ გულისხმობისათვის ვირი უწოდოს ვინმემ.

## კორესპონდენციები.

**თიჩრანი.** რეაქცია ძლიერდება. ცოტათ თუ ზევრათ მოლიბერალო მინისტრებს ითხოვენ და მათ ალაგს აძლევენ სიბნელი-სა და მონობის მოციქულებს.

იუსტიციის მინისტრი მუშადურ-დოვლე, რომელიც მოითხოვდა მათ დასჯას, რომელთაც ცილი დასწამეს თიჩრანის სასამართლოს თავმჯდომარეებსა და წევრებს, დღეს შეცვლილია ათასნაირ ბოროტ-მოქმედებებით სხელ განთქმულ სერდარ-მაისურით; ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრის პორთფელი ჩაბარეს მათამადა-ჰასანს, რომელიც არაფერში არ ჩამოუვარდება სერდარ-მაისურს.

სეიდ-აბდულას რეაქციონური აგიტაცია კონსტიტუციონალი-სტების წინააღმდეგ გრძელდება. ეს ვაჰბატონი აღარ ერიდება არავითარ საშუალებას. მისი გათხსნილება იქამდე მივიდა, რომ ზისივე ჩაგონებით მის ბინაზე მივიდნენ ქუჩის დედაკაცები და დაიწყეს ყვირილი კონსტიტუციის გაუქმების შესახებ. თუ ამას მიეუმატებთ სეხენდარის მეტათ რეაქციონურ ნაბიჯებს, რომელიც ყველაზე აშკარათ გამოიხატა პრესის წინააღმდეგ დენაში, მაშინ აშკარა იქნება, რომ ჩვენ ვუახლოვდებით ისეთ „კონსტიტუციას“, როგორიც არის რუსეთში.

სამხედრო სამინისტროში დაიწყო რეფორმები. სამსახური-დან ითხოვენ მოხუც სარბაზებს, რომლებიც მსახურებენ 20—30 წ. განმავლობაში. ითხოვენ ავთამყოფებსაც. მთავრობას აზრათა აქვს 40,000 კაცისაგან შემდგარი ჯარი იყოლიოს. ჯერ-ჯერობით სურთ თიჩრანში 6000 კაცისაგან შემდგარი რაზმი მოეწყოს. სამსახურის ვადა იქნება 3 წელი.

ამ რაზმდენიმე ხნის წინათ ერთი დედაკაცი უჩიოდა სასამართლოში გავლენიან სისულიერო პირს — იმამ-ჯუმს. ამ უკანასკნელს სასამართლომ გაუზზავნა ჩვეულებრივი უწყება. მაგრამ ღვთის წარმომადგენელი მეტათ განრისხდა, რომ უბრალო მოზაკვადები, გაბედეს და „თავხელათ“ მოექცენ მას. იმამ-ჯუმმა მიმართა სეიდ-აბდულას. სეიდ-აბდულამაც სამინისტროს მოსთხოვა „თავხელ“ მოსამართლეთა დასჯა. ამას თან მიაცილეს ჩვეულებრივი აგიტაცია კონსტიტუციონალისტების წინააღმდეგ.

სეხენდარის ორგანო („ვაქტი“) იწყებს ლაპარაკს საზღვარ-გარეთ სესხის აღების სასარგებლოთ. ამავე დროს, სულ ცოტა ხანია მას შემდეგ, რაც ამ გაზეთის რედაქტორი წინააღმდეგი იყო ასეთი სესხისა. ეტყობა, რომ დღეს იგი ლაპარაკობს ვალაციის ბრძანებით. ამავე დროს, ეჭვი არაა, ეს „მბრძანებელიც“ თავის მხრით ვილაციის ბრძანებით „ბრძანებს“.

მეჯლისმა მიიღო სამხედრო სამინისტროს წინადადება საზღვარ-გარეთ 15,000 ახალი სისტემის თოფის ყიდვის შესახებ.



**ბაქო. ქართველი მუშების მდგომარეობა.** ქართველი! აი, ის სახელწოდება, რომლის გაგონება აქ თითქმის ყველას ერთნაირად ეჯავრება, მსხვილ მოხელებიდან და კაპიტალისტებიდან დაწყებული, უკანასკნელ წვრილ მოსახლამდე ეჯავრება მისი გაგონება ავრთვე აქაურ ქართველ ბურჟუაზიასაც: ის ახლოსაც არ იკარებს ქართველ უმუშევარს, როცა ეს უკანასკნელი დახმარებას სთხოვს მას ადგილის შოვნაში. ფირმების დიდი უმრავლესობა ქართველებს სამუშაოს არ აძლევს. რა არის ამის მიზეზი? „ქართველები მოუსვენარი ხალხია, არ ემორჩილებიან უფროსებს, როგორც წესი და რიგია; ისინი, „დამცემი“ თუ არა, სოციალისტები მაინც იქნებიან და ამიტომ ვერ ვენდობით“-ო, გაიძახიან ბედით კმაყოფილი პირები. ამ გვარი შეხედულება აქ თანდათან იზრდება და მასთან ერთად იზრდება ქართველი მუშების უნუკეშო მდგომარეობაც. ისინი მთელი წლობით დაეძებენ სამუშევარს, მაგრამ ვერ პოულობენ. ბოლოს იმედა ეკარგებათ, ადგილის ძებნას თავს ანებებენ და საშინელ სასოწარკვეთილებას ეძლევიან. ხშირად შეხვედები ისეთ უმუშევარ ქართველს, რომელიც მიბნედილის ხმით გეუბნება: „სამი დღეა, ბიჭო, არაფერი მიჭამიაო“. და ეს მაშინ, როცა უთვალავ სიმდიდრეს ატრიალებს და ყოველგვარ სისახიზდრეში ფლანგავენ ვიღაც მატრაკვეცა-ავზაკებს.

სრულიადაც არ არის გასაკვირალი მშიერ და იმედ გაცრუებულ ადამიანს რომ დაეზადოს აზრი ერთბაშით ფულის შეძენისა. საუბედუროთ, ქართველი უმუშევარი ხშირად ადგება აქ ამ სახიფათო და ყოვლათ უვარგის გზას. ვინ მოსთვლის; რამდენი ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ქართველი შეიწირა და საუკუნოთ დაღუპა ამ სახიფათო გზამ. საწუხაროა აქ, სხვათა შორის, ის არის, რომ ხშირად სასჯელს განიცდიან სრულიად უდანაშაულო პირები. ამას გარდა, ქართველი მუშების უნუკეშო მდგომარეობით ამ ბოლო დროს სარგებლობა იწყეს ადგილობრივმა შიკლებულმა ავაზაკებმა. (ამ ავაზაკებს აქ „ყოჩებს“ ეძახიან, რომლებსაც აშკარა ავაზაკობით შეუძენიათ სიმღ დრე და ამ სიმდიდრის შესაძენათ და გასაძირებლათ არავითარ სისახიზდრეს არ ერიდებიან.) 20 მაისს აქ მოკლეს მუსა ნაგიევის ფირმის გამგე ინჟინერი ტალიშანოვი. მკვლეელი ქართველი აღმოჩნდა, რომელიც ქუჩაში მოკლეს პოლიციელებმა. ეს ქართველი სამი წელიწადი უადგილოთ ყოფილა აქ, მაგრამ ისეთი რამ არას დროს არ ჩაუდენია. დღეს კი მას მოულოდნელათ მოუკლავს ისეთი ადამიანი, რომელთანაც არასოდეს არავითარი დამოკიდებულება არ ქონია და ვერც იცნობდა. როგორც გამოირკვა, ეს მკვლელობა არც იმ ნიადაგზეა მომხდარი, რომელსაც ეკონომიურს ეძახიან. რამ აიძულა ქართველი მუშა წასულიყო და ვიღაცა ინჟინერი მოეკლა? ეჭვი არ არის, რომ მშ ერ მუშის სხენებულმა ავაზაკებმა თვალი მოსჭრეს ოქროებით და საუკუნოთ დაღუპეს. ახლო-მახლო ყვ ლა ქართველი მუშების ბინები გაჩხრკეს და ყველანი დაატყვევეს. პოლიცია იმუქრება, ყველა ქართველ მუშებს ბაქოდგან გაგაძევებთო. ერთი სიტყვით, თუმცა არც ერთი ნაციის მუშა არ არის „ბედნიერი“, მაგრამ ქართველი მუშები ყველა ნაციის მუშებზე მეტ დევნას განიცდიან და ეს მათი განსაკუთრებული მდგომარეობა მათ უფსკრულსაკენ მიგრეკება.

ღილი.

### უვაილები.

მაისის ვარდი ქორთა, მალხაზი, ცვარ მარგალიტით მოსილი, ნაზი, ნორჩი ყვავილი, ია მკერდ-ლია, ოპ, რა კარგია, რა ლამაზია!..

ყვავილთა კონა, ვარდთ თაიგული, ტურფათ მორთული, ფრთებ მოქარგული, სუმბულ-შრომანა, ნარგიზი, ოპ, ოპ, რა კარგია, რა ლამაზია!..

\* \*

მიყვარს წალკოტი! შემკობილია, დილი! სხივებით შემოსილია, შიგ სული, გული ჩაქსოვილია, — იასამანი, მიმოზა, ია ერთი მეორეს ჩაჰკონებია, ნეტარებაა, შვების ფრთებია!..

\* \*

მიყვარს მიდამო ამწვანებულნი, ცოცხალ შეფეებით მოპკურებული, მიყვარს ნაკადი, მხიარულია, სიცოცხლის თვლებით მოქარგულია!.. დავეძებ ბაღსაც, სიცოცხლის იას, ის დააამებს გულს კაეშნიანს.

ბ. გულა

## უ მ უ შ ე ვ ა რ ი.

ესკიზი.

ყოველ-დღიური სიღუბნით, უსახსრობა, უსაყვარლობა შავ, დიდ ლოდსავით მიძიმეთ დასწოლია ჩემს გულგონებას, მთელ ჩემს არსებას, რომლის ქვეშ წელში ოთხათ მოხრილ-მორკალული უმწეოთ ვგმინავ, მწარე-ზე-მწარეთ ვოხრავ. ჩემთვის ბნელა, ჩაკუპრებულ-ჩაშავებული წყვილია; მზე მე არ მინათებს, ნაზი, მორცხვით მთრთოლვარე მთვარე ჩემთვის არ კრთის, არ იღიმება, ცის ლაქვარდზე განგების ხელით უხვათ გაბნეული მარგალიტი ვარსკვლავები ჩემთვის არ ციმციმებენ... ირგვლივ მხოლოდ უდაბნო, სევდის ხშირ ბურუსით დაბურული წყვილია, უდაბნო და ნალვლით გაფლენილი, ცივზე ცივი სამარისებური დუმილი. მთლიან შეხუთული, გაჯოჯოხებულბული, დაობლებული სული, ახლათ გადაკუჭულ კოკორ გრძნობებ ჩათრთვილული, იმედ ჩამქრალ-ჩაკლული გული და მხოლოდ-ლა დღიურ ლუქმაზე მიჯაჭვული, მაზე დაბანდებული, მხოლოდ მისით შებოჩილ-შებორკილი, არაქათ მიმწყდარი გონება, აი, მოკლეთ მთელი ჩემი შინაგანი ვითარება, მთელი ჩემი სულიერი საუნჯე, ჩემი დამახასიათებელი, სწორ-უტყუარი სურათი.

არ ვიცი კი რათ, და გულით, მთელი ჩემი დაავადებულ-დაწყლულბული გულით მინდა, რომ პირდაპირი, გულ-ლია და გულწრფელი ვიყო; გულ-ჩახვეულობა, ყალბობა გულით, სულით მეზიზღება; ანგარიშიანი მოსახრებანი, გაიძვერა გრძნობები მე გულს მიკლავენ, მიდავავენ; ვისაც როგორ უნდა, ისე იფიქროს, ვინც რა უნდა, სთქვას, მე მაინც მინდა საქვეყნოთ გადავხსნა-გადავშალო, გადავკუჭო და ძირ-ფესვიანათ გადავბრუნო მთელი ჩემი დამწვარ-დადაგული გული, ჩავაშუქო იქ,

ჩაგახედოთ მის მიხვეულ-მოხვეულებში, მის მივარდნილ-მიყრუებულ კუნჭულებშიც კი და დაგანახოთ, ნათლათ და გარკვევით დაგანახოთ იქ ნადები, მრავლათ დაგროვილი დარდები, ნადული ვარამი, ღრმა ჭრილობები...

ყველაფერს რომ თავი დავანებო, სხვა არა იყო-რა, ბოღმით აღსავსე და ტყვიასავით დამძიმებულ გულს ეს გულწრფელი აღსარება, გულ-ახდილი აღიარება ერთი წამით მაინც გააქარვებს, გააგრილებს, უებარ მალამოთ მოეცხება და... წყლულებს დააშუშებს, დააამებს...

ცხოვრობ, თუ ცხოვრება შეიძლება დაერქვას... არა, უფრო სწორეთ კი იქნება რომ ვთქვა, ვეწამები ერთ პატარა, ცოცხალ სამარის მსგავსათ დაყურსებულ ხუხულა სახლში, რომლის, როგორც შინაგანი მოწყობილობა, ისე გარეგანი შეხედულება ყოველნაირათ შეეწონ-შეესაბამება ჩემს გარეგან და შინაგან ყოფა-ცხოვრების საერთო სურათს; ისიც ჩემ გულ-სულსავით, და გამოტეხილს ვიტყვი, მთელ ჩემ ჯალაბობასავით გახუნებული, დანადვლიანებული, გაცვეთილი და დაბერებულ გადახალისებული, სისაწყლესილარბიბის თვალებით, სევდიანათ გამოიყურება. ჩვენსავით სახე-დაღარული, უფერული, გამოფიტული ავეჯეულობა, სიღარბის სამკაულობა; გაწყალელებული, ათასგან მიკერებულ-მოკერებული ძონძები, პირებ-მომტვრეული ჭურჭელი და სხვა ასეთი ბედნიერებანი.

და ა, ამ სევდით და ნადვლით აღსავსე, ცრემლით მორწყულ ცოცხალ სასაფლაოდან, სადაც ცოცხლათ ჩამწყვდელ-ჩამარხული ცოლ-შვილი მყავს სიღატაკისაგან დატუქსულ-დატუსაღებული, აი, აქედან გულ-ქვა ქუჩებში და ქუჩებიდან ამ ცოცხალ-მკვდრების სასაფლაოში შეშინებული თვალებით მოჩვენება-ლანდსავით კრძალვითოლოვით მივდი-მოვღვივარ, ვბრუნავ, ვტრიალებ, აქეთ-იქით ამართულ ხილულ და უხილავ კედლებს გულ-სულ აქოთებულები, აფორიაქებული ვაწყდები, ვეხეთქები, ვეხეთქები, ვაწყდები... უნაყოფოთ.

ქვეყანაზე ყველგან ვაწყდა ჩემთვის საშუაო, რაიმე საქმე. სადაც კი ასე დაბრანძული, ჩემ გულ-სულსავით გახუნებულ-გაცვეთილი, დაფლეთილ-დაკონკილი მოჩვენებასავით ავიტუზები; ვისაც კი თავმოყვარეობა ჩაკლულ-გათელილი ჩემი გლახაკური ღიმილით დავედრიჯები, ყველგან და ყველანი მხოლოდ თვალს გადამაღლებენ, ერთს ამხედ-დამხედავენ, სწრაფათ ამწონავენ, გამზომ-გამომზომავენ და უსიტყვოთ ცივათ მისტუმრებენ. და აი, ღრმა იარებით გარემოცულ, მთლათ წყლულებათ ქცეულ გულზე კვლავ ახალ ისარ დასობილი, სულ მთლათ მოშლილ-მოდუნებული, ცოცხალ-მკვდარი მოვლოდავ, მოვრატრატებ შინისაკენ და დამძიმებულ ფეხებს, დაწყვეტილ მუხლებს ძლივს მოვათრევ. სახე აღწეილი, ყელში ბოღმა მობჯენილი მოვდივარ შინ და გულზე ცეცხლ-მოღებულები, მწვავე სირცხვილისა გამო თავ-ჩაქინდრული გარკვევით, მკაფიოთ ვგრძნობ და გონების შინაგანი ფხიზელი თვალით ვხედავ ჩემზე მოჩერებულ, მიმქრალ-მიღლეულ ჩემ პატარა სიცოცხლეთა პატარა თვალებს, ჩემი ბუნებრივი დამატება—ნახევარის სევდით სავსე გამშრალ-

გაბრწყინებულ თვალებს, რომლებიც დაქინებით მხოლოდ მიცქერიან, სულ-განახლები უსიტყვოთ მიცქერიან... იცით, იცით თქვენ ამ უსიტყვო, უსიტყვოთ გარკვევით, მქვერმგეტყველურათ და მწვავეთ რამდენი რამ გამოითქმება?!.. იცით, ამ ღუმელში თუ რა ზღვა გრძნობებია ჩართულ-ჩაქსოვილი?!..

იცით თქვენ ამ თვალების მწვავეზე-მწვავე ისრებ ქვეშ ჩემი სულის დრტვინვა, დაფლეთილ-დასერილ გულის თრთოლვა, წამება?!.. იცით თქვენ ცარიელ ხელებში მოჩერებულ მშიერ პატარა, საყვარელობე-საყვარელ თვალებ ქვეშ ჩემი წვა-დაგვა, სისხლ-ავარდნილ ტვანში აქოთებულ გონების აფორიაქება, გამწარებული სულის შუკოთვა-გოდება?!.. იცით თქვენ, რომ ამ წამში დედამიწა რომ გაირღვეოდეს და რომ შთანძოქავდეს, ჩამიტანდეს, ეს ჩემთვის ნეტარება იქნებოდა?!.. იცით, იცით თქვენ ეს სიტყვით გამოუთქმელი, საზარელობე-საზარელი სულიერი დრამა?! იცით თქვენ ყველა ეს?!.. ჰჰ!.. არა, არა, თქვენ ეს არ იცით, თქვენ ამას ვერც მიხვდებით, ვერ გაიგებთ... ეს იცის, მთელი თავისი არსებით იცის მხოლოდ და მხოლოდ უმუშევარმა და სხვამ არავინ; ეს იცის მხოლოდ უსახსროთ, უსავანოთ დარჩენილმა, წაქცეულმა, უკულო, უსამართლო, უკუღმართ ცხოვრებისაგან გამოტყორცნილმა უმუშევარმა, მხოლოდ უმუშევარმა და სხვამ არავინ... და აქ, ამ ნაწყვეტათ გამოკვესილ-გამოკვერილ სიტყვებში ჩაწულ-ჩაქოვილ მწვავე გრძნობებსაც მხოლოდ ის, მხოლოდ ის მიმიხვდება, ის გაიგებს და სხვა არავინ...

ჩემს მიყრუებულ, მივარდნილ სახლის წინ წამოდგმულ-წამოხურულ დერეფნის ერთ კუნჭულში მალა, ტალახით და ჩალა-ბულათი შეხელილი ნაცრის ფერი ბუდეა მიკრულ-მიკოწიწებული, სადაც შემოხიზნული, ჩემი ერთათ-ერთი მეზობელი-მდგმური, საყვარლათ მოჭიკჭიკე, მუდამ მხიარული მერცხალი სცხოვრობს. და აი, ჩალა-ჩაწყვეტილ, სულ მთლათ მორღვეულ დანჯღრეულ სკამზე ქანდაკებასავით უძრავათ მდებარე, მიმქრალ-მიღლეულ, ცოცხალ-მკვდარ თვალებ გაშტერებული უაზროთ შეეცქერი და შევცქერი ამ ბუდეს, საიდანაც სამი პირდაღებული ბარტყი გადმოიქარება. გაჩუმებული, გატვრენილი, სულ-განახლები ბარტყებიც შემომცქერიან, პირდაპირ შემომცქერიან თავის პაწიაზე-პაწია თვალებით და თითქოს ელიან, რაღაცას ელიან...

ავერ, უცბათ შუაზე გაპობილ ჰაერის შხულილი გაისმა და მასთან ერთათ სიხარულით აღსავსე მერცხლის ფრთხილი, რომელსაც პირში რაღაცა უჭირავს. ის მსწრაფლ მოფრინდა ბუდესთან და შეიქნა სიხარულის ალიაქოთი, ერთი დამაყრუებელი ყვირილ-ხივილი... ჰჰ! მერცხალი და მისი ბარტყები სრული ბედნიერები არიან, — დაახ, სრული, უნაკლო ბედნიერები; ისინი უსაზღვროთ ხარობენ, სტკბებიან, ნეტარობენ; მათთვის მზე ანათებს, ბულ-უხვი, მადლიანი მკერდი ბუნებისა მათ აღაღებს, ათამამებს, ბუნებრივი სრული სიცოცხლით ატკობს, ათაფლებს და მე, მე სიცოცხლის გვირგვინათ და ბუნების მეფეთ აღიარებული, მე კი ამ წამში ვწყ-

ლი, ვკრულავ ჩემ გაჩენის დღეს, საათს; ვგმობ სიცოცხლეს და შეენატრი, გულით შეენატრი პაწია, მარტვი, მაგრამ სრულ ბედნიერ სიცოცხლეს, ჩემ მეზობელ მერცხალს, რომელიც მეჯლისობს, ხარობს...

ს. პართუნაშვილი.

## ეკონომიური ცხოვრების განვითარება.

### VIII

როგორც წინა წერილებიდან დავინახეთ, რომის სახელმწიფოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონობას იმ თავიდანვე ფეხი ქონდა მოკიდებული. რომაელებს მონები ძველიდანვე ყავდათ, თუმცა მათი რიცხვი ერთობ მცირე და უმნიშვნელო იყო. ასე, რომ მონობის ინსტიტუტია არ შეიძლება წარმოების მთავარ ფაქტორათ ჩაგვეთვალა. რომაელების სახელმწიფო პირველათ ჩვეულებრივ ეგრეთ-წოდებულ გლეხთა სახელმწიფოს წარმოადგენდა, თვითეული დამოუკიდებელი საგლეხო, ანუ სწორეთ რომ ვსთქვათ, გლეხთა ოჯახები, ოჯახის წევრების, ცოლის და შვილების საშვალეებით თავის მამულ-დედულს ამუშავებდა. სწორეთ იმიტომ, რომ ძველ რომაელების ეკონომიური ცხოვრება, ეკონომიური წარმოება, შედარებით ძალიან მცირეთ იყო განვითარებული, სასოფლო მეურნეობა, მიწის მოვლა-პატრონობა ძალიან ნაკლებ საშუალო ხელს საჭიროებდა, მთელს ოჯახში ნაკლები მომუშავენი იყვნენ მოსახმარნი. ასე, რომ მთელი საოჯახო წარმოებისთვის სულ რამდენიმე მონა სრულიად საკმარისი იყო.

მაგრამ ჟამთა-ვითარებამ, საზოგადოებრივ ცხოვრების წინმსვლელობამ წვრილ საგლეხო წარმოებებს ნელ-ნელა ნიადაგი გამოაცალა, ნელ-ნელა სული ამოხადა, გააქრო. წვრილ საგლეხო წარმოებების მოსპობას, რასაკვირველია, ხელი შეუწყო, ერთი მხრით მამულების ერთი ხელიდან მეორეში გადასვლამ, — ხდებოდა ეს ყიდვა-გაყიდვის თუ შემკვიდრეობის საშვალეებით; მეორე მხრით, მამულების უმცირეს დიდ მემამულეების ხელში მოგროვებამ, — იყო ეს ძალისა თუ ეშმაკობა-მოხერხების მეოხებით. გარდა ამისა, წვრილ მემამულეების შემცირების პროცესი ძალიან დაჩქარა გამუდმებულმა და დაუსრულებელმა ომებმა. მთელი მილიტარიზმი (ჯარი), მეომართა რაზმები იმ დროს თითქმის გლეხებიდან შესდგებოდა, ამის გამო სოფლებში მიწის დამუშავებელი მამა-კაცი მუდამ მცირე იყო, ვინაიდან, ვიმეორებ, მამა-კაცი სამხედრო ბეგარას იხდიდა, მეომართ მსახურებდა და მისი მეურნეობა კი დედა-კაცების და წვრილ-ფეხა ბავშვების ანაბარა რჩებოდა. ამის გამო თანდათან ქვეითდებოდა მისი სასოფლო სამეურნეო წარმოება და ის იძულებული ხდებოდა, დავალიანებული და დაქვეითებული მამულები დიდ მემამულესთვის მიეყიდა. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, შეუძლებელი ხდებოდა რაციონალური მეურნეობა, რად-

გან საოფლოს მამულ-დედულის დამუშავებელი გლეხი ყოველ წუთს მზათ უნდა ყოფილიყო სამხედრო სამსახურში, ანუ, ჩვენებურათ რომ ვსთქვათ, სალდათათ წასულიყო. ამან კი ძალიან შეუწყო ხელი მსხვილ სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღორძინებას, დიდ მემამულეების, დიდ წარმოების გამრავლებას. ამას თან მოყვა, რასაკვირველია, არა-თავისუფალ მუშა ხელის გაზრდა-გადიდება. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ბატონისთვის გაცილებით ხელსაყრელი იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მონები ჩაეყენებია, მონების საშვალეებით დაემუშავებია. ჯერ ერთი, რომ მონა შედარებით თავისუფალ მიწის დამუშავე გლეხთან ძალიან იაფი იყო, პატარა საშუალო ქირას სჯერდებოდა; მეორე, იგი, ე. ი. მონა, მუდამ თავისუფალი იყო სამხედრო ბეგრიდან, ჯარში არ მსახურობდა, მამასადამე უკანასკნელს საშვალეება ქონდა გამუდმებით, შეუწყვეტლივ სასოფლო სამეურნეო წარმოება თავის ფართო მნიშვნელობით ეწარმოებინა, თვალ-ყური ეგდო, რაც, რასაკვირველი, მეტათ სახეიროათ თვითეულ საწარმოო ერთეულისთვის. მონების რიცხვით გამრავლებას, ექვს გარეშეა, ძალიან შეუწყო ხელი აგრეთვე ცხოვრების ფუფუნების განვითარებამ, ბატონებში საფუფონო მოთხოვნილების გაზრდამ, რომელიც თავის მხრივ მუდამ ახალ და ახალ მოთხოვნილებებს ბადებდა, რომლის დასაკმაყოფილებლათ შედარებით ზედმეტი, რიცხვით მრავალი მონები იყვნენ საჭიროანი.

ამის შემდეგ გასაკვირალი აღარ არის, რომ რომის ზოგიერთა დიდ მემამულეებს, რომის ზოგიერთ დიდ ბატონებს, გარდა უთვალავ, უძრავ საკუთრებისა, მრავალი ათასობით და ათი ათასობით საკუთარი მონები მოეზოვებოდათ. იმპერატორი ავგუსტის დროს, რომაელ მწერალ პლინიუს სიტყვით, იყვნენ ზოგიერთა წარჩინებული სამხედრო პირები, როგორც მაგ. ს. კაკულიუს ისიდორიუს, რომელსაც ნაღდათ ქონდა სამოცი მილიონი სესტერცი (ერთი სესტერცი შვიდ კაპეიკ ფულს უდრიდა), ქონდა 36,0000 დღიური მიწა, ყავდა 25,7000 რქიანი და ურქო შინაური ცხოველი და 4,116 მონა. მერე ისიდორიუსი, იმავე პლინიუს სიტყვით, მინც ყველაზე უმდიდრესი მებატონე არ ყოფილა, იყვენ თურმე იმაზე მდიდრები ქონებით და მონებით. რომ მონობა მეტათ გავრცელებული მოვლენა იყო, ამას შემდეგი ციფრებიც აშკარათ დაგვანახებენ: რომის რესპუბლიკის უკანასკნელ წლებში და იმპერატორობის პირველ საუკუნოებში ერთმა გამოჩენილმა სარდალმა ომიდან მოყვანილი 15,000 მონა გაყიდა; მეორე არა ნაკლებ გამოჩენილმა მეომარმა გამარჯვების დროს 90,000 ტევტონის და 60,000 კიმბრის ტყვე წამოიყვანა; სტრაბონის სიტყვით, ავგუსტმა ომიდან 97,000 ტყვე მონა მოიყვანა; ცეზარმა გალიაში ერთხელ 60,000 ტყვე გაყიდა. მიუხედავთ იმისა, რომ ომებიდან ასე მრავლათ მოყვდათ ტყვეები, მონებზე მოთხოვნა მუდამ სჭარბობდა მოწოდებას. მონებზე მოთხოვნილებას რომაელები უმთავრესათ ყიდვით იკმაყოფილებდენ. რომში რეგულიარულათ იყო მოწყობილი დიდ წარმოებისათვის საჯარო მონების შემოყვანა. ამ საქმეს

სათავისუფლო ჩვეულებრივ სახელმწიფო მოხელე ედგა. მონები უმთავრესათ ისპანიიდან, გალიიდან, აფრიკიდან, წინა აზიიდან, პალესტინიდან და სხვ. ადგილებიდან მოყვდათ. იქ ყიდულობდნენ საქარო მონებს. იმ დროს, რასაკვირველია, მთავრობაც სარგებლობდა მონების ვაჭრობით და იგი საფრანსო (სახელმწიფოს შემოსავლის) წყაროთ გაიხადა. შემოიღო ადამიან-საქონელზე შემოსატანი ბაჟები. მაგალითათ, თვითეულ უცხო ქვეყნიდან შემოყვანილ მონაზე მთავრობის ევნუხები ყმების პატრონებს სახელმწიფოს სასარგებლოთ ყმის ღირებულების ერთ მერვედს ახდევინებდნენ. თვით ქალაქ რომში არსებობდა მონებით მუდმივი მოვაჭრე ისე, როგორც არსებობდნენ სხვა ჩვეულებრივი ვაჭრები. ამას გარდა, იყო აგრეთვე საზოგადო სავაჭრო ბაზრობა, საცა გამოყვდათ გასაყიდი მონები. აქაც მთელ ვაჭრობას თვალ-ყურს ადევნებდა მთავრობის მიერ სპეციალურათ დანიშნული უმაღლესი მოხელე, რომელიც თითო გაყიდულ მონაზე, განსაკუთრებულ, ეგრეთ-წოდებულ გასასყიდ, გადასახადს ახდევინებდა.

მონობა, ვიმეორებთ, რომაელების კერძო თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ქვა-კუთხედათ ითვლებოდა. მაგრამ კი არ უნდა ვიფიქროთ, რომ მონათა მთელი ეს ამოღენა მასსა, რომლის კისერზედაც დაწოლილი იყო რომის სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიური ცხოვრება, თითქო ერთგვარ განურჩეველ, თანასწორ სუბიექტებს წარმოადგენდა! არა, მათ შორისაც არსებობდა ერთგვარი სოციალური დიფერენცია (განსხვავება), სხვადასხვა მალაღ-დაბლობა, სხვადასხვა საპატო სათანადო საფეხურები. თუმცა დიდი ნაწილი მონებისა კი სამუშაო ცხოველს და საწარმოო მანქანას უდრიდა, მათ ებადლებოდა, მათ ჩვეულებრივ სახმარ საგნების ღირებულების ფასი ქონდათ და პატრონებიც ცდილობდნენ, რაც შეიძლებოდა მეტი სარგებელი გამოეღოთ მათ სამუშაო ძალიდან,—მარა მათ შორის მოიპოვებოდნენ ისეთებიც, რომლებსაც დიდი და საპატო ადგილები ეკავათ. მაგ., იმპერატორობის დროს განთავისუფლებულ მონას მეტათ მაღალი თანამდებობა ეჭირა. ხშირათ გუბერნატორობის, სენატორობის და რიცარობის თანამდებობამდის აღიოდნენ. უფრო მეტი, ბევრი ამათგანი ხშირათ ბატონზე განათლებული, ნასწავლი იყო; ასე, რომ მთელი სულიერა ცხოვრება, სულიერი განათლება, როგორც არის მაგ. მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება მთლათ მათ ხელში იყო. ისინი არ წარმოადგენდნენ ერთგვარ მონოტონურ საზოგადოებას,—წინააღმდეგ—მთელი მონათა კრებული მრავალ მხროვან, მრავალ თვისებოვან ინდივიდუალებიდან შედგებოდა.

რომის მონათა ინსტიტუციას ეკონომიური თვალსაზრისით რომ შევხედოთ, ის წარმოების თვალსაზრისით რომ განვიხილოთ, აუცილებლათ ორ მთავარ ჯგუფათ უნდა დავანაწილოთ, ორ მთავარ კატეგორიათ უნდა გავყოთ: ფამილია—რუსტიკიდან და ურბანადან (სიტყვა ფამილია წარმოადგება სიტყვა ფამულისიდან, რომელიც ნიშნავს მოსამსახურეს, მონას). ფამილია-რუსტიკა ჩვეულებრივ სასოფლო სამეურნეო წარმოების მონებიდან

შესდგებოდა, ფამილია ურბანა კი ოჯახში ხელზე მოსამსახურეებიდან. ფამილია ურბანა თავიანთ ბატონს, დიდ მემამულეს ოჯახში, შინ თუ გარეთ, პირადულ სამსახურს უწევდა, ბატონის და ქალბატონის ხელზე მოსამსახურენი იყვნენ. ისინი იყვენ სახლის თუ ოჯახის უძრავ ქონების მეთვალყურენი, კასირები, ბუხგალტერები (დავთრების წამყვანი), გასაქირავებელ სახლების გამგენი და სხვ. დიდ მებატონეების ოჯახებში ზოგი ამათგანი კარის გამგები იყო, ოთახების და ზალის ყარაულები, ავეჯეულობის, ოქრო-ვერცხლეულობის, ტანისამოსის შემნახველები, მეფხოვები, მეღვინეთ-ხუცესები, სამზარეულოს პერსონალის მრავალ სხვადასხვა წვრილ თანამდებობას ასრულებდნენ.—ისინი იყვენ: მზარეულები, ბუხრის, სახარშავების გამხურებლები, პურის, ნამცხვარების გამომცხობლები; სხვადასხვა სუფრის გამშლელები, საქმლის მიმტანლები, ღვინის დამსხმელები, პურის დამჭრელები; იმათგან იყვენ მშვენიერი ახალგაზდა ყაწვილები, რომელთა ცქერით სადილობის დროს შეზარხოშებულნი სტკებოდნენ, იყვენ აგრეთვე ცალკე მოთამაშე-მოცეკვავეები, ოხუნჯი მონები, რომლებიც აცინებდნენ ბატონს და მის სტუმრებს; ყვდათ სხვადასხვა ცერემონიესტერები, რომელთაც ყოველი სტუმარი თავის ალაგას მიყვდათ და სვამდნენ იქ, საცა მათ ეკადრებოდათ; ყვდათ მრავალი კამერდინერები, აბანოში გამბანელები, დამზელავეები, სუნელოვანების წამსმელები, გამწმენდავეები; ლეიბ-ქირურგები, ექიმები, თითქმის თვითეული სხეულის ნაწილისთვის ცალკე; წვერის გამკრეჭელები, თმის და უღვაშის დამყენებლები, მკითხველები, მდივნები; ბევრ მებატონეებს ოჯახში ყვდათ მონების წრიდან გამოსული ნასწავლი ანუ ფილოსოფოსი, საკუთარი მაგლობელთა ხორო, ინჟინერები, არქიტექტორები, სლესრები, მექანდაკენი, მსახიობნი და თვით მეგაზთეებიც კი. ასე რიცხვ-მრავალი მოსამსახურეებდნენ შესდგებოდა ძველი რომის ბატონების ოჯახები, ასეთია ფამილია ურბანას ორგანიზაციის დანიშნულება, რომლებიც, როგორც მათი თანამდებობის დაწვრილებით ჩამოთვლით დავინახეთ, უმთავრესათ არა პროდუქტიულ (უნაყოფო) და პარაზიტულ ფუნქციებს ასრულებდა.

ფამილია რუსტიკა კი რომის ეკონომიურ ცხოვრებაში ნამდვილ საწარმოო ორგანიზაციის როლს თამაშობდა. მათი შრომა ნაყოფიერი იყო, ვინაიდან ისინი იყვენ მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელნი, ისინი მუშაობდნენ მინდვრათ და ტყეში, ისინი უვლიდნენ სამუშაო და საწველ საქონელს, ისინი იყვენ ვენახების გამკეთებლები და სხვადასხვა საწარმოო ღარგებში მომუშავენნი...

როგორც დავინახეთ, რომის მთელი სოციალური ცხოვრება მჭიდროთ შეკავშირებული ყოფილა მონათა ინსტიტუციის არსებობასთან; მონობა რომის სახელმწიფოს ეკონომიურ ცხოვრების სული იყო, რომელიც ასულდგმულებდა მთელ მის არსებობას; მონობა ძლიერი, სოციალურათ დამონავებულთა ორგანიზაცია იყო, რომ-

ლის ეკონომიურ მოქმედებით არსებობდა მთელი სახელ-  
მწიფო. თუ როგორი იყო ამ ორგანიზაციის საზოგადო-  
ებრივ ძალთა განვითარება, ამას შემდეგ წერილებში და-  
ვინახავთ.

შვარცი.

# სოციალიზმი და ანარქიზმი.

(პროფ. ნ. რეიხსბერგისა)

XV

## ფ ი ქ რ ე ბ ი.

(ნაწყვეტები.)

შუა ღამისას, როს მშვიდათ გძინავს,  
შენი მგოსანი  
უცხო ფრთოსანი,  
ნეტარ ოცნებით შენსკენ მოფრინავს!..

კაცთ უხილავათ, ფარულათ, მალვით,  
თავს დაგტრიალებს, გეაღერსება;  
და ვით ანგელოსს, თრთოლვით და კრძალვით  
შუბლზე გემთხვევა, გეამბორება!

თეთრ ფრთებს შევასხამ შენს აღმაფრენას,  
წაგიყვან, შეგრევ ციურ სიზრმებში;  
ძილის პირს გომღერ, დაგიტკობ სმენას,  
ქვითინს არ ჩაეჭსოვ საშენო ხმებში,

რადგან არა მსურს  
ვასმინო შენს ყურს  
ის, რაც მხვდა ხვედრათ  
ბედ-შავს, უბედურს!..

არა, არ მინდა  
ტირილ-ვაგლახით  
ეგ წყნარი, წმინდა,  
დაგიფრხო ძილი...

მე შევიმოსე, მხოლოდ მე თაღხით...  
შენ შემოგწირე ჩემი სიცილი!..

დილის ბინდ-ბუნდზე, უკანასკნელათ  
საგათენებოს გომღერებ ნელათ  
და გარიჟრაჟზე ცის კამარაში  
ტოროლასავით შევინავარდებ,  
იქაც მხოლოდ შენს სადიდებელათ  
გალობას ვიწყებ... აღარ ვიღარდებ!..

ბ. ძიქიძევილი.

ამ კითხვაზე ორგვარ პასუხს იძლევიან ანარქისტე-  
ბი და ამის მიხედვით ანარქიზმის სწავლაც ორ განსხვა-  
ვებულ მიმდინარეობათ იყოფა.


ერთი მიმდინარეობა მიუყვება გამოჩენილი ფრანგის  
პრუდონის აზრს, რომელმაც პირველათ შეამუშავა ანარ-  
ქიული თეორიის ფორმულიროვნება... ამ მიმდინარეობას  
საფუძვლათ უდევს შეხედულება, რომ ადამიანთა ეკონო-  
მიური ცხოვრება შეადგენს რაღაც შეზღუდულ თავისი  
განსაკუთრებული კანონებით შემქმედ სისტემას, რომელ-  
ლიც მხოლოდ მაშინ გამოიჩენს თავის დამახასიათებელ,  
ადამიანისთვის სასარგებლო თვისებებს, როცა სამეურნეო  
ერთეულები განუსაზღვრელ თავისუფლების არეში იმო-  
ქმედებენ.

ყოველი კერძო ადამიანის ეკონომიური მოქმედების  
სახე და მიმდინარეობა განისაზღვრება მარტოდენ ამ  
ადამიანის პირადი ინტერესით, მაგრამ თვით ეკონომიურ  
სისტემას დაყოლილი აქვს ისეთი საკვირველი თვისება,  
რომ ამ კერძო ინტერესებს შორის თავის-თავათ მყარდე-  
ბა სრული ჰარმონია. ამიტომ, არსებულ მოთხოვნილება-  
თა დაკმაყოფილება სრულიად ადვილი საქმე იქნება, რო-  
ცა მოისპობა ის ხელის შემშლელი პირობები, რომელ-  
ნიც წინ ეღობება დღეს ეკონომიური ცხოვრების ბუ-  
ნებრივ კანონების გამოაშკარავებას. საკმარისია მოსპოს  
ყოველგვარი ხელოვნური ორგანიზაცია, ანუ, დამყარდეს  
**ანარქია**, ე. ი. ყოველგვარი მთავრობის სრული უარ-  
ყოფა, და ცხოვრებაც ისე მოეწყობა, რომ ინდივიდის  
(პიროვნების) ყველა მოთხოვნილებებიც საუკეთესოთ იქ-  
ნება დაკმაყოფილებული.

ამ მიმდინარეობის წინააღმდეგია მეორე, რომელიც  
უარყოფს ეკონომიურ ცხოვრების აქ მიღებულ ბუნებრივ  
სისტემას; მისი შეხედულებით ასეთი ორგანიზაციაც  
მოკლებულია ყოველგვარ გონიერ საფუძველს, რადგან  
ესეც, როგორც ყველა სხვა ორგანიზაცია, ადამიანის თა-  
ვისუფლების შემზღუდველი იქნება. სამეურნეო დამოკი-  
დებულებათა ბუნებრივი ორგანიზაცია წინააღმდეგი იქ-  
ნება ბუნების კანონისა, რომელმაც ადამიანის პიროვნე-  
ბა **თავისუფალი** გააჩინა. ბუნებაში კი წინააღმდეგობას  
არ უნდა ქონდეს ადვილი.

დანარჩენში ეს მიმდინარეობა მისდევს მაქს შტირ-  
ნერის მიერ თავის წიგნში (Der Einzige unგ snie  
Eigentum) წამოყენებულ არგუმენტაციას (დასაბუ-  
თებას) და ამტკიცებს, რომ ადამიანი ბუნებით **ეგოისტია**  
(მარტო თავის პირადობის მცნობი) და როგორც ასეთს,  
მას შეურყვეველი უფლება აქვს ისარგებლოს ყველა სა-  
შვალეობით, რომელიც უფრო სარფათ მიაჩნია მოთხოვნი-  
ლებათა დასაკმაყოფილებლათ. და რადგანაც ადამიანს  
არ შეუძლია მარტო თავისი ძალ-ღონით დაიკმაყოფილოს

\*) იხ. „სხივი“ № 14.



მოთხოვნებიანი, მისთვის სასარგებლოა სხვა ადამიანებთან შეკავშირება, მაგრამ მხოლოდ დროებით, სანამ ეს საჭიროა წამოყენებული მიზნის მისაღწევად. არავითარი მტკიცე ორგანიზაცია არაა საჭირო, საკმაოა შემთხვევითი თავისუფალი ამხანაგობანი, რომელიც თვითონ შეიმუშავებენ თავიანთების სახელმძღვანელო წესებს; ამხანაგობიდან გამოსვლა თავისუფლათ შეუძლია ყოველ წევრს, როცა კი მოიფიქრებს—აი, ასეთია ამ მეორე ტაპის ანარქისტთა საზოგადოებრივი იდეალი.

XVI

შეიძლება გაგვიკვირდეთ კიდევ, რომ აქამდის არაფერს ვამბობთ ანარქისტულ საზოგადოებაში საკუთრების ორგანიზაციაზე, მაგრამ ეს სიჩუმე იმით აიხსნება, რომ თვით ანარქისტების სწავლაში, ყოველ შემთხვევაში მის მიმდინარეობათა დიდ უმრავლესობაში, ამ საკითხს სრულიად უმნიშვნელო ადგილი უჭირავს.

ზევით უკვე მოხსენებულ ანარქიზმის საფუძველთაგან სრულიად არ გამომდინარეობს ლოლიკურათ არსებული კერძო საკუთრების უარყოფა. ამის დასამტკიცებლათ ის კმარა, რომ ზოგიერთი მიმართულება ანარქიზმისა პირდაპირ საჭიროთ სთვლის კერძო საკუთრების დაცვას.

უმრავლესობა კი, მართალი უნდა ვთქვათ, არ ცნობს კერძო საკუთრებას. განსაკუთრებით უნდა ითქვას ეს იმ ჯგუფთა შესახებ, რომელნიც თავიანთ თავს „ანარქისტ-კომუნისტებს“ უწოდებენ.

მაგრამ არც ამ ანარქისტებს მიაჩნიათ საჭიროთ კერძო საკუთრების საზოგადო საკუთრებათ შეცვლა, როგორც ამას სოციალისტები ფიქრობენ; მათი მიზანია კერძო მეურნეობათა ჯგუფების კოლექტიური საკუთრების შემოღება. ამ ჯგუფებს შეადგენენ ანარქისტული კომუნები.

XVII

შევადაროთ ახლა ერთმანეთს ანარქიზმისა და სოციალიზმის საზოგადოებრივი იდეალი. მათი სრული წინააღმდეგობა აშკარაა და ადვილი მისახვედრია, რომ ამ ორ მიმართულებათა წარმომადგენელნი მტრებს ხედავენ ერთმანეთში და მათ შორის შეურიგებელი შუღლია ჩამოვარდნილი. მართლაც, სოციალიზმი და ანარქიზმი მუდამ ბრძოლაში არიან ერთ-ერთ შორის და ეს მათი ბრძოლა მეტათ სასტიკათ სწარმოებს თვით იმ დღიდან, როცა მიხეილ ბაკუნინმა მე-60 წლების მიწურულში დააარსა ანარქიული პარტია წინააღმდეგ საერთაშორისო მუშათა ორგანიზაციისა, რომელსაც თვით კარლ მარქსი მეთაურობდა. ანარქიზმის წარმოდგენით სოციალიზმიც ერთ-ერთი სისტემაა ადამიანის პიროვნების დამონავეებისა, რადგან იგი არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციის ნაცვლათ ადგენს ახალს და ისეთს, რომელიც ადამიანთა ცხოვრების ყველა მხარეს საზღვრავს. ანარქისტების აზრით ეს ორგანიზაცია ბევრათ უფრო აუტა-

ნელი იქნება, ვიდრე არსებული, რადგან აქ სრულებით არ ექნება ადგილი პირადობის ეგოიზმსა და განუსაზღვრელ თავისუფლებას.

ანარქიზმი გადაჭრით უარყოფს დემოკრატიულ პრინციპს, პრინციპს უმრავლესობისას, რომელიც სოციალიზმის სისტემაში ყოველგან პირველ ადგილზეა წამოყენებული, საცა კი საზოგადოების კეთილწყობილებაზე მიმდგარი კითხვა. ანარქისტების აზრით ეს პრინციპი ავტორიტეტის თაყვანის ცემის პრინციპია, იგი ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას, რადგან სცნობს ისეთ ძალას, რომელიც კერძო პიროვნებას ნებაზე მალდა დგას. ანარქისტების აზრით პიროვნება სრულიად ავტონომიური (დამოუკიდებელი) უნდა იყოს, იგი არაა ვალდებული დაემორჩილოს უმრავლესობის დადგენილებას, თუ კი ეს დადგენილება მის სურვილებსა და ინტერესებს ეწინააღმდეგება.

სოციალიზმი კი თავის მხრით ანარქიზმშია მხოლოდ ფანტაზიის მიერ წარმოშობილ უტოპიას (შეუსრულებელ წადილს) ხედავს. მაგრამ მიუხედავათ ამისა საჭიროთ სთვლის მასთან ბრძოლას, რადგან მეტათ რეაქციონურ მოკლენათ მიაჩნია იგი.

მართალია, ანარქისტები ქებათა-ქებას ასხამენ თავისუფლებას, მაგრამ ეს, სოციალისტების აზრით, უშინაარსო, მაღალი ფრანგია, რომელნიც გაუნათლებელ ხალხს გზას უბნევენ და მით კიდევ უფრო აპროკლებს მშრომელთა განთავისუფლების საქმეს.

ანარქისტების მიერ წარმოებაში საზოგადოებრივი ორგანიზაციის უარყოფა, მათ საზოგადოებაში კაპიტალის დაქუცმაცება და მისი კერძო განაწილება სამეურნეო ერთეულთა შორის, რომელნიც დამოუკიდებლათ აწარმოებენ მრეწველობას, სრულიად მოკლებულნი ურთიერთ შორის ყოველგვარ კავშირს, ყოველივე ეს, სოციალისტების აზრით, მეტათ სახიფათოთა საერთოთ კულტურული განვითარებისათვის.

ანარქისტების მოხსენებული მისწრაფებანი რომ მართლა განხორციელდეს—სოციალისტების აზრით—ეს შეუძლებელია—მას სხვათა შორის შედეგათ მოყვება **წვრილი წარმოების** აღდგენა; ეს კი აუცილებლათ გამოიწვევს ყველა იმ წარმოებათა დაკარგვას, რომელიც თან მოყვა სხვლ წარმოების განვითარებას, და რომელსაც სათანადო ორგანიზაციის დროს კიდევ მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია საზოგადოებისათვის, ვიდრე ეს დღემდე შეეძლო. მათ (ანარქისტების) საზოგადოებაში კულტურული განვითარება შეუძლებელი შეიქნება; საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარე საშინლათ დაეცემა და თვით კერძო ადამიანთა ცხოვრებაც ბევრათ უარეს პირობებში მოყვება, ვიდრე დღესაა.

უკეთეს შემთხვევაში, ანარქიზმის განხორციელება და მის მიერ წარმოების დაქუცმაცება ვერ მოსპობს სხვა და სხვა სამეურნეო ჯგუფთა შორის არსებულ კონკურენციას და სრულიად ხელშეუხებლათ დასტოვებს არსებულ საზოგადოების იარებს.

ამ მხრით ყველაფერი ძველებურათ დარჩება ანარ-

ქიზმის განხორციელების შემდეგ; მხოლოდ წინეთ არსებულ კერძო პირთა ბრძოლის ადგილს დაიკის ავტონომიურ ჯგუფთა შორის ბრძოლა.

აქაც, როგორც ყველა სხვა ბრძოლაში, რასაკვირველია, იქნება გამარჯვებული და დამარცხებული და ბოლოს საზოგადოება ისევ ორ კლასათ დაიყოფა; ერთი მხრით იქნებიან მყვლეფელები, მეორე მხრით გაყვლეფელები და ისევ უნდა დაიწყოს ბრძოლა პიროვნების თავისუფლების მოსაპოვებლათ.

XVIII

ახლა, როცა უკვე გაცნობილი გვაქვს ანარქიზმის და სოციალიზმის საზოგადოებრივი იდეალები და მისწრაფებანი, შეგვიძლია შევუდგეთ მათ მიერ არჩეულ სამოქმედო ტაქტიკის გაცნობასა, ე. ი. იმის გამოკვევას, თუ როგორ, რა გზით და რა საშვალეებით ფიქრობენ და იმედობენ ისინი თავიანთი მიზნის განხორციელებას.

აქაც, რასაკვირველია, სრულიად ნათლათ აშკარად ვდებამ ორ სისტემათა პირდაპირი წინააღმდეგობა, რაც ადვილი გასაგებია, რადგან ანარქიზმის და სოციალიზმის არსებითი მხარეც პირდაპირ ეწინააღმდეგება ერთი მეორეს.

მიუხედავათ ამისა, საზოგადოებაში ამ პუნქტის შესახებ უფრო მეტი არევ-დარევა აზრისა გავრცელებული, ვიდრე ყველა სხვა ამ სისტემათა შესახებ კთხვებზე.

გავრცელებულია აზრი, რომ სოციალიზმსა და ანარქიზმს **ძალადობით** უნდათ თავიანთი იდეალების განხორციელება, მათ უნდათ ძალით დაამხონ არსებული საზოგადოებრივი წყობილება.

ეს აზრი, რამდენათაც იგი შეეხება თანამედროვე სოციალიზმს, მტკნარი სიცრუეა და მოკლებულია ყოველ საფუძველს.

სოციალისტები სრულიად უარყოფენ ძალის მოშველებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცვლილების მოსახდენათ. თავიანთ შეხედულების თანახმათ ისინი, ერთი მხრით, დაწმუნებული არიან, რომ ძალათ არაფერი მკვიდრი ცვლილების მოხდენა არ შეიძლება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ხოლო მეორე მხრით, მათი წარმოდგენით, მათ მისწრაფებათა განსახორციელებლათ სრულიად არაა საჭირო ასეთ საშვალეათა მოხმარება. ახალი საზოგადოებრივი წყობილება მხოლოდ მაშინ დამყარდება, როცა ამისთვის მომზადებული იქნება საჭირო მატერიალური პირობები.

მანამდის კი უეჭველათ დამარცხდება ყოველგვარი ცდა ახალ სოციალურ დამოკიდებულებათა განხორციელების შესახებ. მას ისეთი უძლეველი დაბრკოლება გადაელობება გზაზე, რომ, კიდევ რომ მიაღწიოს მიზანს დროებით ასეთმა ცდამ, ისევ ძველ კალაპოტში ჩააყენებს ცხოვრების მსვლელობას.

სულ სხვაა, როცა მატერიალური პირობები განვითარების საჭირო საფეხურს მიაღწევს. მაშინ დაკრავს უკანასკნელი ჟამი ძველი წყობილებისა, და ვერავითარი

ძალა ვერ შესძლებს მის გადაჩენას განადგურებისაგან, ვერ შეძლებს მის დროებით შეჩერებასაც.

(დასასრული იქნება)

საქართველო  
სოციალიზმი

# თეატრი და ხელოვნება.

**სახალხო სახლი.** გასულ ხუთშაბათს წარმოდგენილი ტრ. რამიშვილის პიესა „მეზობლები“ შედარებით გვარიანათ ჩატარდა. თუმცა როლის უცოდინარობა ახლაც ხელს უშლიდათ, მაგრამ ისე შესამჩნევათ არაა.

ქნი წუწუნავა ვერ გამოდგა ნამდვილი კატო. აკლდა მედიდურობა, სიმკაცრე; თამაშის დროს ხშირათ უადგილო გრიმასებს აკეთებდა, რაც, ეჭვი არაა, როლის არ შეგნებას უნდა მივაწეროთ. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ მის თამაშში იყო მოხდენილი ადგილებიც.

სუსტი ტასო მარშანიძე იყო ქნი ანკარა. როლის უცოდინარობა, უადგილოთ აღწევება ცულ შთაბეჭდილებას ახდენდა.

გვარიანი იყო ბ-ნი ა. იმედაშვილი მენაღდიშვილის როლში. ვამბობთ, გვარიანი, რადგან უკეთესს მოველოდით.

ირაკლი მარშანიძის როლი სრულებით არ შეეფერებოდა ბ-ნ ჰეპანოვს. მიუხედავათ ამისა, იგი ცდილობდა, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა.

კარგები იყვნენ: ქნი საგინაშვილი (ოლინკა), ჯავახიშვილი (თამარ), ნებიერიძე (მაიკო), გოცირიძე (გრუმნევსკი), ინაშვილი (სუთიძე), ჭიაურელი (სოსიკო), ბაქრაძე (ფონ-ბილლერი).

სუსტი გელოვანიძე გამოდგა ბ-ნი კ. ხახანაშვილი. დამსწრე საზოგადოებას წარმოდგენა მოეწონა და მოთამაშენი მხურვალე ტაშის-ცემით დააჯილდოვა.

**განდევლის გასამართლება.** პარასკევს, 11 ივნისს სახალხო სახლში გასამართლეს ილია ჭავჭავაძის პოემა „განდევლი“-ს მთავარი გმირი—განდევლი. ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გამოიტანა ასეთი რეზოლიუცია: 1) განდევლი დამნაშვეა იმაში, რომ განშორდა საზოგადოებას; 2) უდანაშაულოა იმაში, რომ მან თავი შეიკავა უკანასკნელ წუთებში.

საზოგადოებაში ცხარე კამათი გამოიწვია როგორც ბრალმდებელ-დამცველების მოსაზრებებმა, ისე მსაჯულთა გადაწყვეტილებამ.

ვრცელ რეცენზიას გასამართლების შესახებ მომავალ ნომერში მოვათავსებთ.

დასასრულ წარმოდგენეს კ. ფოცხვერაშვილის ორ მოქმედებიანი სცენები: „აშენდა საქართველო“! წარმოდგენა ცოცხლათ ჩატარდა. კარგები იყვნენ: ბ.ბ. შალიკაშვილი, მეტრეველი, ბაქრაძე და ჰეპანოვი. საზოგადოებამ უხვი ტაშის-ცემით დააჯილდოვა მოთამაშენი. გამოიწვიეს თვით ავტორიც.

# გ ა ნ ც ხ ა ლ ე ზ ა ნ ი.

ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა ხ ლ ი.

სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე.

შაბათს, 19 ივნისს

ბ. ალ. აბუჯაშვილისა და ვ. გამყრულიძის მონაწილეობით  
წრის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

## ე ბ რ ა ე ლ ე ბ ი

დრ. 4 მ. ე. ჩირიკოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი: ბ. ნებიერიძე, ა. საგი-  
ნაშვილი; ბ.ბ.: გ. ანაშვილი, დ. ბაქრაძე, ვ. გამყრე-  
ლიძე, ფრონისპირელი, ნ. გოცირიძე, ა. იმედაშვილი,  
ა. მეტრეველი, ა. ნარი, ს. პეპანოვი, კ. ხახანაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8<sup>1/2</sup> საათზე.

შზადლება წარმოსადგენათ: „ექიმი აშირბაჯიანი“ და  
„მალაროს მუშა“.

ადმინისტრატორი ა. ჭიანჭავაძე  
რეჟისორი ა. იმუჯაშვილი

ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა ხ ლ ი.

კვირას, 20 ივნისს

## ქ ა ნ ბ. ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე

წაიკითხავს ლექციას ქართულ ენაზე:

## საროსკიპო სახლების გაუქმება.

ლექციის პროგრამა:

შეგნება ზნეობრიობაზე საზოგადოთ; სურათი საზოგადო-  
ებრივი განვითარებისა; როსკიპების დღევანდელი მდგო-  
მარეობა ექიმი ბენტოვინის აღწერით; საროსკიპო სახლ-  
ები, როგორც ველური დაწესებულებანი.

დასაწყისი დილის 12 საათზე.

ადგილების ფასი 5 კაპეკიდან 50 კაპ.

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

# სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გასრულად გაზვთს იქნება კვირული

## სურათიზიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქ-  
ში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი  
წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრე-  
სით: თფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12, Семену  
Пашалишвили.

ყოფილი წყლის ქარხანა ი. მ. ცატუროვისა

დღეიდან გამოვა ახალი ფირმიტ

# „ი. მ. ც. და ამხ.“

ამ ახალმა „ფირმამ“ შეიძინა ახალი მანქანები და  
საუკეთესო მასალები წყლის დასამზადებლათ, რომე-  
ლიც სრულიათ არ განსხვავდება გემოვნებით, სუნ-  
ნელობით და სისუფთავით ძველი ქარხნის ზემმელის  
წყლისაგან. დასარწმუნებლათ ამისა უმორჩილესათ ვთხოვ  
პატივცემულ საზოგადოებას საცდელათ შეადაროს ჩვენი  
გამოცემული წყალი აღნიშნულ ზემმელის წყალს, რო-  
მელზედაც, სრული იმედი გვაქვს, კმაყოფილი დარჩება.

პატივისცემით ივ. დავ სოზიაშვილი.

რადგან ახალი ფირმის ბოთლზე მისაკრავი იარლი-  
კები ვერ მოვასწარით, რამდენიმე დღე ბოთლზე ძველი  
იარლიკი ეკვრება.

# „ჩვენი გაზეთი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს :

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთა წლით  
7 მან., ნახევარი წლით 4 მან.

ქალაქ გარეთ	†	თფილისში
3 თვით—2 მან. 50 კაპ.	†	3 თვით—2 მან. 20 კაპ.
1 „ — — — 90 „	†	1 „ — — — 80 „

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1-დ რაცხვიდან  
ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

რედაქციის ადრესი:

რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.  
თულის გამოსაგზავნი ადრესი:

Тифлиси, тип. „Промы“ Калистрату Конст. Цуладзе.

# მ ო რ თ ხ ო ვ ე თ

საუკეთესო ღირსების, ნამდვილი პურის

# კ ვ ა ს ი - „გ ე მ ო“

თფილისი, ვეძინის ქუჩა, № 11.